გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში

საერთაშორისო ინდექსების და რეიტინგების მიხედვით

თბილისი
2012

Center for Social Sciences

გენდერული თანასწორობის პროგრამა

გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში საერთაშორისო ინდექსების და რეიტინგების მიხედვით

ნანი ბენდელიანი

გაეროს ერთობლივი პროექტი
“გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში”

გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP),
გაეროს ქალთა ფონდი (UN Women), გაეროს ბავშვთა ფონდი (Unicef),
საქართველოში გაეროს მუდმივი და ჰუმანიტარული კოორდინატორის ოფისი (UN RC Office)

თბილისი, 2012

ანგარიში წარმოადგენს საქართველოში გენდერული თანასწორობის შეფასებას გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშის გენდერული თანასწორობის ინდექსების, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გენდერული სხვაობის ინდექსის, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის და ეკონომიკური კვლევის სააგენტოს ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის საშუალებით. ანგარიშის მიზანია საქართველოში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განსაზღვრა სიღრმისეული კვლევისა და ადვოკატირების კამპანიის დასაგეგმად.

ანგარიში მოამზადა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის გენდერული თანასწორობის კვლევითი პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ნანი ბენდელიანმა. ანგარიშის მომზადებაში ასევე მონაწილეობდნენ კვლევითი პროგრამების ინტერნები მარიამ ამაშუკელი და სოფო ვასაძე.

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები განხილულ უნდა იქნეს, როგორც ავტორთა შეხედულებები და არა როგორც გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), გაეროს ქალთა ფონდის (UN Women), გაეროს ბავშვთა ფონდის (Unicef) ან საქართველოში გაეროს მუდმივი და ჰუმანიტარული კოორდინატორის ოფისის (UN RC Office) შეხედულებები.

დამატებითი ინოფორმაცია ამ ანგარიშის შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრში:

საქართველო, თბილისი, 0179
ფალიაშვილის ქ. 33
ტელ: (+995 32) 2290095, (+995 32) 2102781
ფაქსი: (+995 32) 2291334
ელ.ფოსტა: contact@ucss.ge
www.css.ge

პუბლიკაციაზე საავტორო უფლება ეკუთვნის “სოციალურ მეცნიერებათა ცენტრსა” და გაეროს მოსახლეობის ფონდს.
პუბლიკაცია მომზადდა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის პროექტის “მონაცემებზე დაფუძნებული, გამოყენებითი სოციალური კვლევა სოციალურ მეცნიერებებში” ფარგლებში 2012 ჩატარებული კვლევის შედეგად.
© Center for Social Sciences (www.css.ge) 2012
© UNFPA 2012

ანგარიში დაბეჭდილია შპს “ვესტა“-ს მიერ.

ISBN 978-9941-0-5358-0

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

რეზუმე 7

შესავალი 11

გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშის ინდექსები და რეიტინგები გენდერული თანასწორობის შესახებ 14

გენდერული სხვაობის ინდექსი 18

სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი 31

ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი 38

დასკვნა 41

ავტორის შესახებ 43

ბიბლიოგრაფია 44

წინასიტყვაობა

წინამდებარე პუბლიკაცია გამოცემულია გაეროს ერთობლივი პროექტის "გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში" ფარგლებში. პროექტი, რომელიც 2006-11 წლებში განხორციელდა, წარმოადგენდა საქართველოში მოქმედი გაეროს სააგენტოების - გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), გაეროს ქალთა ფონდის (UN Women), გაეროს ბავშვთა ფონდის (Unicef) და საქართველოში გაეროს მუდმივი და ჰუმანიტარული კოორდინატორის ოფისის (UN RC Office) პირველ ერთობლივ ინიციატივას. აღნიშნული ინიციატივის განმახორციელებელი სააგენტო იყო გაეროს მოსახლეობის ფონდი, რომელმაც უზრუნველყო კოორდინაცია და პროგრამული და ფინანსური მართვა.

ერთობლივი პროექტის ძირითადი მიზანი იყო ხელი შეეწყო გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის საქართველოში მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კოორდინირების, თანამშრომლობისა და დიალოგის ხელშეწყობისა და ქვეყანაში არსებული გენდერული თანასწორობის ეროვნული მექნიზმების გაძლიერების გზით, და ასევე, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების გაუმჯობესების ხელშეწყობით.

2006 წლიდან გაეროს ერთობლივი პროექტი 2 ძირითად ეტაპად მიმდინარეობდა. პროექტის პირველ ეტაპზე განხორციელდა საქართველოში არსებული სიტუაციის შეფასება ოჯახში ძალადობის თვალსაზრისით. კვლევა 2007 წელს განხორციელდა ორგანიზაციასთან "Minnesota Advocates for Human Rights" (აშშ) პარტნიორობით. კველვის მიზანი იყო ქვეყანაში არსებული სრული სურათის წარმოჩენა ოჯახში ძალადობის მხრივ შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით: ინფორმაციისა და მონაცემების ხელმისაწვდომობა, კანონმდებლობის ეფექტიანობა და ინსტიტუციური და მონიტორინგის მექნიზმები. კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები გაეროს სააგენტოებისა და მთავრობისათვის შემდგომი ნაბიჯების შესახებ ამ სფეროში. კვლევის რეკომენდაციის საფუძველზე, გაეროს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ხელი შეეწყო კანონდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებას ოჯახში ძალადობის კანონის უკეთესად აღსრულების კუთხით; აგრეთვე განხორციელდა რიგი ინიციატივებისა საზოგადოების ინფორმირებულობის ასაღლებლად.

გაეროს ერთობლივი პროექტის მეორე ფაზა მიმართული იყო საქართველოში გენდერული თანასწორობის გაძლიერების ხელშეწყობაზე. პროექტის განხორციელების პერიოდში შემუშავდა გენდერული თანასწორობის ახალი 2011-13 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რაც შესაძლებელი გახდა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კოორდინირებითა და დაილოგის ხელშეწყობით. 2010 წლის 8-10 ოქტომბერს ჩატარებულ ეროვნულ ფორუმზე – "რეალური გენდერული თანასწორობისათვის საქართველოში – წინ სავალი გზები 2015 წლამდე", რომელმაც უმასპინძლა გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების საკითხებით დაინტერესებულ აქტივისტებს სამოქალაქო სექტორიდან, მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მოხდა გენდერული თანასწორობის ახალი ეროვნული გეგმის მიზნებისა და პრიორიტეტების შეთანხმება და შემუშავდა რეკომენდაციები გენდერული თანასწორობის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის შუალედური პრიორიტეტების განსაზღვრისათვის.

გაეროს ერთობლივი პროექტის "გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში" წარმატებული საქმიანობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გაეროს სააგენტოების ერთობლივი ძალისხმევის პოზიტიურ ასპექტებს. პროექტის ფარგლებში მიღწეულმა შედეგებმა ხელი შეუწყო გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების კუთხით ეროვნული ვალდებულებების შესრულებას. გაეროს რამოდენიმე სააგენტოს ერთიანმა ძალისხმევამ განაპირობა თითქოსდა ტაბუდადებული გენდერული თანასწორობის საკითხის წინ წამოვა მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების დღის წესრიგში.

რეზუმე

წინამდებარე ანგარიშის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ინდექსებისა და რეიტინგების მიხედვით საქართველოში გენდერული თანასწორობის შეფასება, რათა საბოლოოდ გამოიკვეთოს ის მნიშვნელოვანი საკითხები,რომლებიცსიღრმისეულ კვლევასა და პროპაგანდირებას საჭიროებს. ნაშრომში განხილულია ისეთი ორგანიზაციების მონაცემები, როგორებიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UN), მსოფლიო ეკონომიკის ფორუმი (WEF), ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD) და ეკონომიკური კვლევის სააგენტო (Economics Intelligence Unit). ყურადღება გამახვილებულია ინდექსების მეთოდოლოგიაზეც, რაც საშუალებას იძლევა, მართებულად მოხდეს მონაცემების ინტერპრეტაცია.

ინდექსების საშუალებით გენდერული თანასწორობის შეფასებისას უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს გაეროს როლი, რომელმაც ადამიანის განვითარების კონცეფციაში გენდერული თანასწორობა ადამიანისა და ქვეყნის განვითარების აუცილებელ პირობად აღიარა და ადამიანის განვითარების ანგარიშის ფარგლებში გენდერული თანასწორობის შეფასება დამოუკიდებელი ინდექსის საშუალებით დაიწყო. 2010 წლამდე გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიში მოიცავდა ორ ინდექსს: გენდერის და განვითარების ინდექსს (Gender and Development Index - GDI) და გენდერული გაძლიერების საზომს (Gender Empowerment Measure – GEM), რაც შემდგომში გენდერული უთანასწორობის ინდექსმა (Gender Inequality Index – GII) ჩაანაცვლა. გენდერისა და განვითარების ინდექსი (GDI) მთლიანად ემთხვევა ადამიანის განვითარების ინდექსის კომპონენტებს (განათლება, ჯანმრთელობა, შემოსავალი), იმ განსხვავებით, რომ მხოლოდ ქალების მაჩვენებლების მიხედვით არის გამოთვლილი, შესაბამისად, განსხვავება ამ ორ ინდექსს შორის ასახავს გენდერულ უთანასწორობას. **გენდერული გაძლიერების საზომი (GEM) ორიენტირებულია** ქალების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის, ასევე ეკონომიკური რესურსების ფლობის შეფასებაზე, ხოლო **გენდერული უთანასწორობის ინდექსი (GII)** ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის, გაძლიერებისა და შრომით ბაზარზე ჩართულობის შეფასებისკენაა მიმართული.

საქართველოს შემთხვევაში 1993-1995 წლებისათვის ხელმისაწვდომი გენდერისა და განვითარების ინდექსის მონაცემების მიხედვით გენდერული უთანასწორობა არ ჩანს. სამაგიეროდ, სიტუაცია არც ისე სახარბიელოა, როდესაც საქმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჩართულობას ეხება, საკმაოდ დაბალია 1997 წლისათვის მიღებული გენდერის გაძლიერების მონაცემი, როდესაც ქალები მხოლოდ 35.5%-ს აღწევენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში ჩართულობის/გადაწყვეტილების მიღების საშუალებისა და შემოსავლის მაჩვენებლების მიხედვით. არსებული ვითარება გაუმჯობესდა, თუმცა რადიკალურად არ შეცვლილა 1999-2005 წლებში. რაც შეეხება გენდერული უთანასწორობის ინდექსს (GII), 2010 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს საშუალოზე დაბალი ქულა აქვს (0.597, სადაც 0 ასახავს ქალების და მამაკაცების თანასწორ პირობებს, ხოლო 1 - სრულ უთანასწორობას), ხოლო 2011 წელს მაჩვენებელი 0.418 ქულამდე უმჯობესდება.

გენდერული სხვაობის ინდექსი (Gender Gap Index – GGI) შემუშავებული იქნა მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის მიერ 2005-2006 წლებში.ეს ინდექსი აფასებს ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავებას ეკონომიკაში მონაწილეობის, განათლების, ჯანმრთელობის/სიცოცხლის უსაფრთხოებისა და პოლიტიკური ჩართულობის მიხედვით.

გენდერული სხვაობის ინდექსის მიხედვით საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაა პოლიტიკური ჩართულობის კრიტერიუმის მხრივ, თუმცა განათლებისა და ჯანმრთელობის ინდიკატორის მაჩვენებლებით უთანასწორობა თითქმის არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობის და სიცოცხლის უსაფრთხოების კრიტერიუმის შემადგენელი ინდიკატორის – სქესთა თანაფარდობა დაბადებისას - მიუთითებს, რომ საქართველოში შესაძლებელია არსებობდეს „გამქრალი

გოგონების“ ფენომენი, რაც სქესის მიხედვით სელექციური აბორტების გამო სქესთა ბუნებრივი თანაფარდობის დარღვევას გულისხმობს. რაც შეეხება ეკონომიკურ ჩართულობას, აღნიშნული კრიტერიუმის თანახმად არსებობს მნიშვნელოვანი გენდერული უთანასწორობა (40% ქალები / 60% მამაკაცები), თუმცა მონაცემები 2012 წლის ანგარიშის მიხედვით მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე მაღალია. ზოგადად, ქულები მეტ-ნაკლებად სტაბილურია და მნიშვნელოვნად არ იცვლება 2006-2012 წლებში, თუმცა უარესდება საქართველოში არსებული გენდერული უთანასწორობა სხვა ქვეყნებში არსებულ გენდერულ უთანასწორობასთან შედარებით - საქართველოს რეიტინგი 2006 წელს დაკავებული 54-ე ადგილიდან 2012 წელს 85-ე ადგილამდე გაუარესდა. ასევე, უარესდება საქართველოს მაჩვენებლები პოლიტიკური ჩართულობის მიხედვით, გარდა უკანასკნელი, 2012 წლის ანგარიშისა, რომლის თანახმად შეინიშნება მცირედი გაუმჯობესება. ამ კრიტერიუმის მიხედვით საქართველო ჩამორჩება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს და მისი მაჩვენებელი ძალიან დაბალია - 2006-2012 წლების ანგარიშები გვიჩვენებს, რომ საქართველოში ქალები თითქმის არ მონაწილეობენ პოლიტიკაში, როგორც აქტიური პოლიტიკური სუბიექტები.

სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი (SIGI) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ არის შემუშავებული და გენდერულ თანასწორობაზე ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების გავლენას აფასებს განვითარებად ქვეყნებში. ინდექსი ზომავს შემდეგ კრიტერიუმებს: დისკრიმინაციული ოჯახური კოდექსი, შეზღუდული სამოქალაქო უფლებები, ფიზიკური ხელშეუხებლობა, ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭება, შეზღუდული რესურსები და მემკვიდრეობა. ხელმისაწვდომია 2009 და 2012 წლების ანგარიშები, რომლებიც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. რეიტინგის მიხედვით საქართველო 102 ქვეყანას შორის 33-ე ადგილზე იყო 2009 წელს და 86 ქვეყანას შორის მე-60 ადგილზეა 2012 წელს. 2009 წლის ანგარიშის მიხედვით სოციალური ინსტიტუტების გავლენა გენდერულ თანასწორობაზე საქართველოში მხოლოდ ქალთა ფიზიკური ხელშეუხებლობის და ოჯახური კოდექსის კრიტერიუმების მიხედვით არსებობს. რაც შეეხება 2012 წლის ანგარიშს, რეიტინგის და საერთო ქულის მკვეთრი გაუარესების გარდა, საქართველოში ინდექსის შემადგენელი ყველა კრიტერიუმის მიხედვით დაფიქსირდა სოციალური ინსტიტუტების გავლენა გენდერულ თანასწორობაზე. შეფასებების გაუარესება ინდექსის გამოთვლის მეთოდის ცვლილებამ გამოიწვია - 2009 წლის ანგარიშის ინდიკატორებს დაემატა ახალი, არაფორმალური ინსტიტუტების შემფასებელი ინდიკატორები. ამასთანავე, ზოგიერთი ინდიკატორი, რომელიც 2009 წლის ანგარიშში მხოლოდ სამართლებრივ ასპექტებს აფასებდა, 2012 წლის ანგარიშში ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ უთანასწორობასაც აფასებს. შესაბამისად, 2012 წლის ანგარიში გაცილებით უფრო სრულყოფილად ასახავს სოციალური ინსტიტუტების გავლენას საქართველოში, ვიდრე 2009 წლის ანგარიში.

ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი (WEOI) შემუშავებულია ეკონომიკური კვლევის სააგენტოს მიერ. ქალების ეკონომიკური მდგომარეობა განიმარტება როგორც კანონების, რეგულაციების, პრაქტიკების, ჩვევების და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც ქალებს ისევე აძლევს მონაწილეობის საშუალებას, უფლებას, ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში, სამუშაო ძალაში, როგორც მამაკაცებს. ინდექსის მიზანია, გამოიკვლიოს ის ფაქტორები, რომლებიც ქალებისთვის სამსახურის ხელმისაწვდომობაზე და ბიზნესშესაძლებლობებზე ახდენს ზეგავლენას. ხელმისაწვდომი 2010 და 2012 წლების ანგარიშების მონაცემების მიხედვით საქართველოს შედეგები, ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის მიხედვით, გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს - ქულა გაუმჯობესებულია 49.2-დან 54.5-მდე, ხოლო რეიტინგი 67-ე ადგილიდან 59-ე ადგილამდე. საქართველოს მიერ დაკავებული პოზიცია, ასევე ინდექსის შემადგენელი კრიტერიუმების შედარება მიუთითებს იმაზე, რომ ქალთა უფლებებისა და ფორმალური ინსტიტუტების შეფასების თვალსაზრისით საქართველოში უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ქალთა მდგომარეობის ამსახველი პრაქტიკის აღწერის მიხედვით. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის (WEOI)

ხელმისაწვდომ ანგარიშებში არსებობს მეთოდოლოგიური არათანმიმდევრულობა. 2010 და 2012 წლების ანგარიშებში ინდექსი ერთსა და იმავე კრიტერიუმზე დაყრდნობით იქნა გამოთვლილი, მაგრამ კრიტერიუმის ინდიკატორები განსხვავდება ანგარიშების მიხედვით, ვინაიდან 2012 წელს რამდენიმე ინდიკატორი იქნა დამატებული.

გენდერული თანასწორობის ინდექსების მიმოხილვისას გამოვლინდა რამდენიმე საკითხი, რომლებიც შემდგომ კვლევას და პოლიტიკის შემუშავებას საჭიროებს:

- „გამქრალი გოგონების“ ფენომენი - რომელზეც მიუთითებს გენდერული სხვაობის ინდექსი (GGI), სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი (SIGI) და მსოფლიო ბანკის 2012 წლის მსოფლიოს განვითარების ანგარიში; ასევე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში 2006-2011 წლებში მართლაც შეიმჩნევა სქესთა არაბუნებრივი თანაფარდობა, თუმცა მონაცემები მეტად არათანამიმდევრულ ტენდენციას ასახავს და საჭიროა როგორც მათი სანდოობის შესწავლა, ასევე ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭების კვლევა საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმების, ფასეულობების და სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფისთვის მიკუთვნების თვალსაზრისით.
- ძალადობა ქალების მიმართ და ოჯახში ძალადობა, რომელზეც მიუთითებს სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის (SIGI) 2012 წლის ანგარიში. იგივე ანგარიში მიუთითებს ქალების არასასურველ მდგომარეობაზე ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭების, შეზღუდული სამოქალაქო უფლებების, დისკრიმინაციული ოჯახური კოდექსის და შეზღუდული რესურსების და მემკვიდრეობის კრიტერიუმების მიხედვით. ჩამოთვლილი ფაქტორების შესწავლა ქალების მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობასთან მიმართებით სასარგებლო იქნება ძალადობის სისტემური მიზეზების დასადგენად და შესაბამისი პოლიტიკის შესამუშავებლად;
- ქალების დაბალი პოლიტიკური აქტიურობის გამომწვევი მიზეზები და პრობლემის შესაძლო გადაწყვეტის გზები - გენდერული სხვაობის ინდექსი (GGI) ყველაზე ცხადად მიუთითებს საქართველოში საკანონმდებლო და აღმასრულებელ დონეებზე ქალების პოლიტიკური ჩართულობის უკიდურესი შემცირების ტენდენციაზე;
- არსებობს თუ არა კავშირი საქართველოში ქალის ეკონომიკურ გაძლიერებასა და პოლიტიკურ გაძლიერებას შორის, რადგან ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი (WEOI) ამ მხრივ არსებულ პოზიტიურ ტენდენციაზე მიუთითებს, ასევე გენდერული სხვაობის ინდექსის თანახმადაც (GGI) ეკონომიკური ჩართულობის ინდექსის ზოგიერთი ინდიკატორის მიხედვით გაუმჯობესება შეინიშნება, მაშინ, როცა ამავე ანგარიშის მიხედვით ქალთა პოლიტიკური ჩართულობის თვალსაზრისით საქართველოში უკიდურესად არასახარბიელო ვითარებაა;
- ზოგადი მიმოხილვა მიუთითებს, რომ საქართველოში გენდერულ თანასწორობასთან მიმართებით უკეთესი ვითარებაა არსებული კანონმდებლობისა და ფორმალური ინსტიტუტების მიხედვით, ვიდრე ქალთა მდგომარეობის ამსახველი პრაქტიკის აღწერით.

I შესავალი

ქალთა სრულყოფილი ჩართულობა საზოგადოებრივ საქმიანობაში არ არის მხოლოდ ქალთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხი, იგი ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიისა და განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. უფრო მეტიც, გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას არა მხოლოდ უფლებების, არამედ შესაძლებლობების მხრივაც. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) გენდერულ თანასწორობას შემდეგნაირად განმარტავს: „თანასწორობა ქალებსა და მამაკაცებს შორის (გენდერული თანასწორობა) ნიშნავს ქალისა და მამაკაცის, გოგონასა და ვაჟის თანაბარ უფლებებს, პასუხისმგებლობასა და შესაძლებლობებს. თანასწორობა არ გულისხმობს, რომ ქალი და მამაკაცი იდენტურნი უნდა გახდნენ, არამედ ის გულისხმობს, რომ ადამიანის დაბადება მამაკაცად ან ქალად არ განსაზღვრავს მის უფლებებს, პასუხისმგებლობასა და შესაძლებლობებს. გენდერული თანასწორობის მიხედვით როგორც ქალების, ასევე მამაკაცების ინტერესები, საჭიროებები და პრიორიტეტები განიხილება ქალებისა და მამაკაცების ჯგუფების მრავალფეროვნების და არსებული განსხვავებების გათვალისწინებით. უფრო მეტიც, გენდერული თანასწორობა არ არის მხოლოდ „ქალთა საკითხი“, იგი სრულად მოიცავს მამაკაცებსაც და ქალებსაც, რადგან თანასწორობა ქალებსა და მამაკაცებს შორის განიხილება როგორც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხი და, ასევე, როგორც მდგრადი და ადამიანზე ორიენტირებული განვითარების წინაპირობა და მაჩვენებელი[1].“

გენდერული თანასწორობა აქტუალური საკითხია საქართველოში, რადგან არსებობს ოჯახში ქალის მიმართ ძალადობის, ადრეულ ასაკში ქორწინების შემაშფოთებელი მონაცემები. ასევე, ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება მამაკაცებისას - მოსახლეობის დაახლოებით ნახევრის არასათანადო აქტიურობა ხელისშემშლელი ფაქტორია როგორც ეკონომიკის, ასევე დემოკრატიის განვითარების გზაზე. წინამდებარე ანგარიშის მიზანია საქართველოში გენდერული თანასწორობის მრავალმხრივი შეფასება - სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებზე, მეთოდოლოგიასა და საკითხებზე დაყრდნობით, რათა შემდგომი კვლევის და გენდერული თანასწორობის ადვოკატირების კამპანიის დასაგეგმად ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები გამოვლინდეს. არსებული მონაცემების სწორი ინტერპრეტაციისთვის წინამდებარე ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ინდექსების მეთოდოლოგიაზე - რას აფასებს ესა თუ ის მაჩვენებელი, და არა მეზობელ ან სხვა ქვეყნებთან მიმართებით საქართველოში არსებული ვითარების შედარებაზე.

სხვადასხვა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის შესაფასებელი ინსტრუმენტების შემუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა გაეროს ადამიანის განვითარების კონცეფციაში გენდერული თანასწორობის ადამიანის და ქვეყნის განვითარების განუყოფელ კომპონენტად აღიარებამ[2]. სწორედ გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშის ფარგლებში დაიწყო სხვადასხვა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის შეფასება სპეციალური ინდექსების საშუალებით, რომლებიც ანგარიშის მთავარი ინდექსის - ადამიანის განვითარების ინდექსისგან - დამოუკიდებლად არის წარმოდგენილი. გენდერული თანასწორობის შეფასებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარდა, რამდენიმე საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის[3], ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის[4] და ეკონომიკური კვლევის

[1] Office of the Special Advisor on Gender Issues and Advancement of Women. Gender Mainstreaming: Strategy for Promoting Gender Equality. UN 2001 http://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/factsheet1.pdf (ნანახია 18.05.12/17:15)

[2] United Nations Development Programme (1995). Human Development Report 1995. Oxford University Presshttp://hdr.undp.org/en/reports/global/hdr1995/chapters/ (ნანახია 28.02.12/12:00)

[3] World Economic Forum. Gender Gap Index, official website. http://www.weforum.org/issues/global-gender-gap (ნანახია 03.05.12. 12:00)

[4] OECD. The Social Institutions and Gender Index, official website. http://genderindex.org/country/georgia (ნანახია 18.06.12. 16:00)

ქალთა სრულყოფილი ჩართულობა საზოგადოებრივ საქმიანობაში არ არის მხოლოდ ქალთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხი, იგი ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიისა და განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. უფრო მეტიც, გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას არა მხოლოდ უფლებების, არამედ შესაძლებლობების მხრივაც. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) გენდერულ თანასწორობას შემდეგნაირად განმარტავს: „თანასწორობა ქალებსა და მამაკაცებს შორის (გენდერული თანასწორობა) ნიშნავს ქალისა და მამაკაცის, გოგონასა და ვაჟის თანაბარ უფლებებს, პასუხისმგებლობასა და შესაძლებლობებს. თანასწორობა არ გულისხმობს, რომ ქალი და მამაკაცი იდენტურნი უნდა გახდნენ, არამედ ის გულისხმობს, რომ ადამიანის დაბადება მამაკაცად ან ქალად არ განსაზღვრავს მის უფლებებს, პასუხისმგებლობასა და შესაძლებლობებს. გენდერული თანასწორობის მიხედვით როგორც ქალების, ასევე მამაკაცების ინტერესები, საჭიროებები და პრიორიტეტები განიხილება ქალებისა და მამაკაცების ჯგუფების მრავალფეროვნების და არსებული განსხვავებების გათვალისწინებით. უფრო მეტიც, გენდერული თანასწორობა არ არის მხოლოდ „ქალთა საკითხი“, იგი სრულად მოიცავს მამაკაცებსაც და ქალებსაც, რადგან თანასწორობა ქალებსა და მამაკაცებს შორის განიხილება როგორც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხი და, ასევე, როგორც მდგრადი და ადამიანზე ორიენტირებული განვითარების წინაპირობა და მაჩვენებელი[1].“

გენდერული თანასწორობა აქტუალური საკითხია საქართველოში, რადგან არსებობს ოჯახში ქალის მიმართ ძალადობის, ადრეულ ასაკში ქორწინების შემაშფოთებელი მონაცემები. ასევე, ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება მამაკაცებისას - მოსახლეობის დაახლოებით ნახევრის არასათანადო აქტიურობა ხელისშემშლელი ფაქტორია როგორც ეკონომიკის, ასევე დემოკრატიის განვითარების გზაზე. წინამდებარე ანგარიშის მიზანია საქართველოში გენდერული თანასწორობის მრავალმხრივი შეფასება - სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებზე, მეთოდოლოგიასა და საკითხებზე დაყრდნობით, რათა შემდგომი კვლევის და გენდერული თანასწორობის ადვოკატირების კამპანიის დასაგეგმად ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები გამოვლინდეს. არსებული მონაცემების სწორი ინტერპრეტაციისთვის წინამდებარე ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ინდექსების მეთოდოლოგიაზე - რას აფასებს ესა თუ ის მაჩვენებელი, და არა მეზობელ ან სხვა ქვეყნებთან მიმართებით საქართველოში არსებული ვითარების შედარებაზე.

სხვადასხვა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის შესაფასებელი ინსტრუმენტების შემუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა გაეროს ადამიანის განვითარების კონცეფციაში გენდერული თანასწორობის ადამიანის და ქვეყნის განვითარების განუყოფელ კომპონენტად აღიარებამ[2]. სწორედ გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშის ფარგლებში დაიწყო სხვადასხვა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის შეფასება სპეციალური ინდექსების საშუალებით, რომლებიც ანგარიშის მთავარი ინდექსის - ადამიანის განვითარების ინდექსისგან - დამოუკიდებლად არის წარმოდგენილი. გენდერული თანასწორობის შეფასებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარდა, რამდენიმე საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის[3], ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის[4] და ეკონომიკური კვლევის სააგენტოს[5] ინდექსები და რეიტინგები გენდერული თანასწორობის შესახებ. აღნიშნული მაჩვენებლები წარმოადგენს ყველაზე უფრო სრულყოფილ ანგარიშებს, რომლებიც აფასებს გენდერულ თანასწორობას და ქალთა მდგომარეობას ცალკეულ ქვეყნებში. ასევე, წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულია

[1] Office of the Special Advisor on Gender Issues and Advancement of Women. Gender Mainstreaming: Strategy for Promoting Gender Equality. UN 2001 http://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/factsheet1.pdf (ნანახია 18.05.12/17:15)

[2] United Nations Development Programme (1995). Human Development Report 1995. Oxford University Presshttp://hdr.undp.org/en/reports/global/hdr1995/chapters/ (ნანახია 28.02.12/12:00)

[3] World Economic Forum. Gender Gap Index, official website. http://www.weforum.org/issues/global-gender-gap (ნანახია 03.05.12. 12:00)

[4] OECD. The Social Institutions and Gender Index, official website. http://genderindex.org/country/georgia (ნანახია 18.06.12. 16:00)

[5] Economic Intelligence Unit. Women's Economic Opportunity Index. New study spotlights opportunities and barriers for working women worldwide http://www.eiu.com/site_info.asp?info_name=womens_economic_opportunity&page=noads (ნანახია 22.06.12. 12:30)

მსოფლიო ბანკის მსოფლიოს განვითარების 2012 წლის ანგარიში, რომელიც ეხება გენდერულ თანასწორობას და განვითარებას[6] - მსოფლიო ბანკის ანგარიშში მოცემული არ არის დამოუკიდებელი ინდექსი გენდრული თანასწორობის შეფასებისთვის, თუმცა წარმოდგენილია არსებული შეფასების ინსტრუმენტების ინტერპრეტაცია და დამატებითი მონაცემები.

უნდა აღინიშნოს, რომ ინდექსები და რეიტინგები ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის მიღებისთვის ზოგად ორიენტირს წარმოადგენენ. ინდექსი არის ემპირიული მონაცემის ან მონაცემების მიხედვით ფორმირებული მაჩვენებელი, რომელიც მნიშვნელობას იძენს და დროში იცვლება მონაცემების ცვლილების შესაბამისად. ინდექსი წარმოადგენს აბსტრაქტულ, ხელოვნურად შექმნილ მოდელს, რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ მიახლოებით შეიძლება ასახავდეს არსებულ რეალობას. რეიტინგი არის რელატივისტური მაჩვენებელი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის აბსოლუტური მაჩვენებლების შესადარებლად გამოიყენება და კიდევ უფრო ნაკლებად ინფორმაციულია, ვიდრე ინდექსი. აღნიშნულ პრობლემებს ემატება მონაცემთა ბაზების სიზუსტის საკითხი - რაოდენობრივი მონაცემების მოპოვება ხდება საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზებიდან, რომლებიც, თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში ეროვნული სტატისტიკის სამსახურისგან იღებენ ინფორმაციას. განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთა რიგს საქართველოც მიეკუთვნება, ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემების სიზუსტე და სანდოობა პრობლემას წარმოადგენს, რაც ამ მონაცემების მიხედვით გამოთვლილ ინდექსებზეც აისახება.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, ანგარიშში განხილული ინდექსებისა და რეიტინგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს უკეთესი შედეგები აქვს იმ ინდექსებისა და ანგარიშების მიხედვით, რომლებიც აფასებს საკანონმდებლო გარემოს / ფორმალურ ინსტიტუტებს და ძირითად საჭიროებებს, როგორიცაა განათლების, ცხოვრების მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის და საშუალო შემოსავლის აგრეგირებული მაჩვენებლები; განსხვავებით ინდექსებისა და ანგარიშებისგან, რომლებიც საქართველოში ქალთა მდგომარეობას პოლიტიკური და ეკონომიკური ჩართულობისა და არა-ფორმალური ინსტიტუტების გენდერულ თანასწორობაზე გავლენის საშუალებით განიხილავენ - დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით საქართველოში მნიშვნელოვანი უთანასწორობა არსებობს ქალებსა და მამაკაცებს შორის.

6 The World Bank (2012) World Development Rport. Gender Equality and Development. http://siteresources.worldbank.org/INTWDR2012/Resources/7778105-1299699968583/7786210-1315936222006/Complete-Report.pdf (წანახია 25.09.2012; 17:00)

II გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშის ინდექსები და რეიტინგები გენდერული თანასწორობის შესახებ

გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშში 2010 წლამდე წარმოდგენილი იყო ორი ინდექსი: გენდერის და განვითარების ინდექსი (Gender and Development Index - GDI) და გენდერული გაძლიერების საზომი (Gender Empowerment Measure - GEM)[7]. 2010 წლიდან აღნიშნული ინდექსები გენდერული უთანასწორობის ინდექსმა (Gender Inequality Index – GII) ჩაანაცვლა. საქართველოს მონაცემები მიუთითებს, რომ გენდერის და განვითარების ინდექსის (GDI) თანახმად, გაეროს ადამიანის განვითარების კონცეფციის მიერ განსაზღვრული სამი კრიტერიუმის გაერთიანებული მაჩვენებლის (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლებაზე ხელმისაწვდომობა და საშუალო შემოსავალი) მიხედვით გენდერული უთანასწორობა 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში არ შეინიშნებოდა. თუმცა რადიკალურად განსხვავდება გენდერული გაძლიერების საზომის (GEM) და გენდერული უთანასწორობის ინდექსის (GII) მონაცემები, რომლებიც დამატებით პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების ამსახველ ცვლადებს მოიცავს - ამ მაჩვენებლების მიხედვით საქართველოში მნიშვნელოვანი გენდერული უთანასწორობა არსებობს. რაც შეეხება რეიტინგებს, მათი შედარება შეუძლებელია ანგარიშში ჩართული ქვეყნების რაოდენობის მუდმივი ცვლილების გამო; თუმცა საქართველო გაეროს არცერთი რეიტინგის მიხედვით პირველი 60 ქვეყნის ჩამონათვალში არ შედის.

მეთოდოლოგია

გენდერის და განვითარების ინდექსი (GDI) წარმოადგენს ადამიანის განვითარების ინდექსს, რომელიც მხოლოდ ქალების მაჩვენებლების მიხედვით არის გამოთვლილი. შესაბამისად, გენდერის და განვითარების ინდექსის შემადგენელი კომპონენტები ემთხვევა ადამიანის განვითარების ინდექსის კომპონენტებს და განსხვავება ამ ორ ინდექსს შორის ასახავს გენდერულ უთანასწორობას.

[7] United Nations Development Programme (2010). Human Development Report 2010. Palgrave Macmillan http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2010/chapters/ (ნანახია 28.02.12/12:00)

გენდერის და განვითარების ინდექსი, ისევე, როგორც ადამიანის განვითარების ინდექსი, სამი თანაბრად შეწონილი კომპონენტისგანაა შედგენილი - **განათლება, ჯანმრთელობა და შემოსავალი. ჯანმრთელობა იზომება ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობით, განათლება – წერა-კითხვის დონით და მოსწავლეთა კომბინირებული ჩარიცხვის პროცენტული ოდენობით სწავლების პირველ, მეორე და მესამე საფეხურებზე, ხოლო შემოსავალი იზომება ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული შემოსავლით აშშ დოლარში, მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით.** ინდექსის სკალა 0-დან 1-მდე მერყეობს, სადაც 0.8-1 ასახავს ადამიანის განვითარების მაღალ დონეს, 0.5-0.79 - საშუალოს, ხოლო 5-ზე ნაკლები - დაბალს[8].

გენდერული გაძლიერების საზომი (GEM) აჩვენებს, შეუძლიათ თუ არა ქალებს მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. გენდერული გაძლიერების საზომი ასახავს იმ უთანასწორობას, რომელიც არსებობს ქალებსა და მამაკაცებს შორის სამი მიმართულების მიხედვით:

- **პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღების საშუალება,** რომელიც გამოითვლება ქალი და მამაკაცი პარლამენტარების პროცენტული შეფარდების მიხედვით;
- **ეკონომიკაში ჩართულობა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალება,** რომელიც გამოითვლება ორი პარამეტრის – ქალი და მამაკაცი კანონმდებლების, მაღალი თანამდებობის პირების და მენეჯერების პროცენტული შეფარდებებისა და ტექნიკურ/კვალიფიციურ მუშახელს შორის ქალისა და მამაკაცის პროცენტული შეფარდებების მიხედვით.
- **ეკონომიკური რესურსების ფლობა,** რომელიც გამოითვლება ქალების და მამაკაცების მიერ გამომუშავებული ანაზღაურების მიხედვით (შემოსავალი იზომება აშშ დოლარში მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით).

[8] United Nations Development Programme (2010). Human Development Report 2010. Palgrave Macmillan. http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2010/chapters/ (ნანახია 28.02.12/12:00)

თითოეული კომპონენტისთვის გამოითვლება თანაბრად განაწილებული ეკვივალენტის პროცენტი. საბოლოო გენდერული გაძლიერების საზომის (GEM) მაჩვენებლები მიიღება ზემოაღნიშნული სამი კომპონენტის თანაბრად განაწილებული ეკვივალენტის პროცენტის საშუალოს გამოთვლით. მაჩვენებლები განაწილებულია 0-დან 1-მდე სკალაზე[9], სადაც მიღებული ქულა ასახავს სამივე კომპონენტის მიხედვით თანაბრად განაწილებული ეკვივალენტის პროცენტს, ანუ აღნიშნული კომპონენტების მიხედვით განსხვავებას ქალების და მამაკაცების მიერ დაკავებულ პოზიციებში. შესაბამისად, ქულა 1 არის იდეალური თანასწორობა, სადაც თანაბრად განაწილებული ეკვივალენტი ემთხვევა მიღებულ ქულას.

[9] United Nations Development Programme (2007). Human Development Report 2007/2008. Palgrave Macmillan. http://hdr.undp.org/en/media/HDR_20072008_EN_Complete.pdf (ნანახია 28.02.12/12:00)

2010 წლიდან **გენდერული უთანასწორობის ინდექსი (GII)** აფასებს ქალების არახელსაყრელ პირობებს სამი მიმართულებით – რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გაძლიერება და ჩართულობა შრომით ბაზარზე. ინდექსი აჩვენებს, აღნიშნული მიმართულებების მიხედვით, ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული უთანასწორობით გამოწვეულ დანაკარგს ადამიანების განვითარების მიხედვით. მაჩვენებლები განაწილებულია 0-დან 1-მდე სკალაზე, სადაც 0 ქალებისა და მამაკაცებისთვის არსებულ თანაბარ პირობებზე მიუთითებს, ხოლო 1 აჩვენებს, რომ ქალები სამივე მიმართულების მიხედვით სრულიად არახელსაყრელ პირობებში ცხოვრობენ. ინდექსი გამოითვლება ორივე სქესის მონაცემების საშუალებით - თავდაპირველად ხდება გეომეტრიული საშუალოს გამოთვლა თითოეული მიმარ-

დიაგრამა 1. გენდერის და განვითარების ინდექსის (GDI), გენდერის გაძლიერების საზომის (GEM) და გენდერის უთანასწორობის ინდექსის (GII) საქართველოს მაჩვენებლები გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშის მონაცემების მიხედვით



** სკალა, GDI/HDI: 0.8-1 ასახავს ადამიანის განვითარების მაღალ დონეს, 0.5-0.79 - საშუალოს, ხოლო 5-ზე ნაკლები - დაბალს;*

*** სკალა, GEM: ქულა 1 არის იდეალური თანასწორობა, ქულა 0 მიუთითებს, რომ ქალებს არავითარი უფლება/საშუალება არ გააჩნიათ ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით;*

**** სკალა, GII: ქულა 0 ქალებისა და მამაკაცებისთვის არსებულ თანაბარ პირობებზე მიუთითებს, ხოლო 1 აჩვენებს, რომ ქალები სამივე მიმართულების მიხედვით სრულიად არახელსაყრელ პირობებში ცხოვრობენ;*

*****დიაგრამაზე წლები არ არის წარმოდგენილი ანგარიშების გამოშვების წლების მიხედვითა, ისინი ასახავს უშუალოდ მონაცემების შეგროვების წელს;*

******HDI-ს ქულა წარმოდგენილია მხოლოდ 1993-1995 წლებისთვის, GDI-ს ქულასთან შესადარებლად;*

თულებისთვის და ცალ-ცალკე ქალებისა და მამაკაცებისთვის; შემდეგი ნაბიჯია ჰარმონიული საშუალოს გამოყენებით ქალებისა და მამკაცების მიმართულების საშუალო მაჩვენებლის გაერთიანება. ჰარმონიული საშუალოს მიხედვით, რაც უფრო დიდია განსხვავება ქალისა და მამაკაცის მაჩვენებლებს შორის, მით უფრო ნაკლებია ინდექსის საბოლოო ქულა. მიმართულებების გამოთვლისას გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები:

- **ჯანმრთელობა;** დედების სიკვდილიანობის მაჩვენებელი, მოზარდთა შობადობის მაჩვენებლები;
- **გაძლიერება;** პარლამენტში ორივე სქესის წარმომადგენელთა თანაფარდობა, მიღწევები განათლების მეორე და მესამე საფეხურებზე;
- **შრომით ბაზარზე ჩართულობა**[10].

საქართველოს მაჩვენებლები

გენდერის განვითარების ინდექსის (GDI) მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც 90-იანი წლების დასაწყისისთვისაა ხელმისაწვდომი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობა დაცული იყო გაეროს ადამიანების განვითარების ინდექსის შემადგენელი კომპონენტების მიხედვით (განათლებაზე ხელმისაწვდომობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა და შემოსავალი), თუმცა გენდერულ უთანასწორობას საქართველოში წარმოაჩენს გაეროს ის ინდექსები, სადაც, აღნიშნული საბაზისო ინდიკატორების გარდა, ისეთი კომპონენტებიც არის ჩართული, რომლებიც ქალების გაძლიერებას - ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას - აფასებს. ასეთია გენდერის გაძლიერების საზომი (GEM) და გენდერული უთანასწორობის ინდექსი (GII).

გენდერის და განვითარების ინდექსის (GDI) და გენდერის გაძლიერების საზომის (GEM) მიხედვით საქართველოსთვის მინიჭებული ქულების რაოდენობის შედარება აჩვენებს, რომ საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში არ არსებობდა მნიშვნელოვანი უთანასწორობა ადამიანის განვითარების ინდექსის შემადგენელი კომპონენტების– განათლებაზე ხელმისაწვდომობის, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის და ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავლის– მიხედვით. თუმცა მნიშვნელოვანი უთანასწორობა არსებობდა და არსებობს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალების მონაწილეობის მხრივ. დიაგრამა 1 აჩვენებს, რომ 1993-1995 წლებში არ ფიქსირდება მნიშვნელოვანი განსხვავება გენდერის და განვითარების (GDI) და ადამიანის განვითარების ინდექსებს შორის, რაც ნიშნავს, რომ არ არსებობს გენდერული უთანასწორობა ინდექსის შემადგენელი კომპონენტების მიხედვით. რაც შეეხება გენდერის გაძლიერების საზომს, მოცემული პერიოდისთვის ერთადერთი ხელმისაწვდომი მონაცემის მიხედვით (1997 წელი) მაჩვენებელი არის დაბალი - 0.355, რაც ნიშნავს, რომ მამაკაცებსა და ქალებს შორის თანაბრად განაწილებული ეკვივალენტის მხოლოდ 35.5%-ს მიაღწიეს ქალებმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში ჩართულობის/ გადაწყვეტილების მიღების საშუალებისა და შემოსავლის მაჩვენებლების მიხედვით. არსებული ვითარება გაუმჯობესდა, მაგრამ რადიკალურად არ შეცვლილა 1999-2005 წლებში - გენდერის გაძლიერების საზომის (GEM) მაჩვენებელი გაიზარდა 0.414-მდე 2003 წელს, 2005 წლის მაჩვენებელმა შეადგინა 0.408 ქულა - რაც ნიშნავს, რომ ამ პერიოდისთვის განსხვავება ქალების მიერ მიღწეულ მაჩვენებელსა და მამაკაცებსა და ქალებს შორის თანაბრად განაწილებულ ეკვივალენტს შორის თითქმის 60%-ს შეადგენდა.

გენდერული უთანასწორობის ინდექსი (GII) 2010 და 2011 წლების გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშებშია მოცემული (დიაგრამა 1). 2010 წლის ანგარიშის მიხედვით მაჩვენებელი საშუალოზე დაბალ 0.597 ქულას შეადგენს, ხოლო 2011 წლის ანგარიშის მიხედვით მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული - 0.418 ქულამდე (გენდერული უთანასწორობის ინდექსის სკალის მიხედვით 0 ასახავს ქალების და მამაკაცების თანასწორ პირობებს, ხოლო 1 - სრულ უთანასწორობას). თუმცა გაუმჯობესებული მაჩვენებლითაც საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება თითქმის ყველა მეზობელ ქვეყანას - აზერბაიჯანს (0.314 ქულა), სომხეთს (0.343 ქულა), რუსეთს (0.338 ქულა), გარდა

[10] United Nations Development Programme (2010). Human Development Report 2010. Palgrave Macmillan http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2010/chapters/ (ნანახია 28.02.12/12:00) United Nations Development Programme (2010). Human Development Report 2011. Palgrave Macmillan http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2011/download/ (ნანახია 28.02.12/12:00)

თურქეთისა (0.443 ქულა)[11]. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით გენდერის გაძლიერების საზომისგან, რომელიც ქალების გაძლიერებას ზომავდა რამდენიმე კომპონენტის მიხედვით, გენდერული უთანასწორობის ინდექსი (GII) წარმოადგენს მცდელობას, გაიზომოს გენდერული უთანასწორობა სხვადასხვა კომპონენტის - გაძლიერების, ჯანმრთელობის და შრომის ბაზარზე ჩართულობის - მიხედვით. როგორც აღვნიშნეთ, საბოლოო ქულა რამდენიმე რიგის საშუალოს გამოყვანით მიიღება. მიმართულებების მიხედვით საქართველოში არსებული ვითარების შესაფასებლად მეტი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი ინდექსის შემადგენელი კრიტერიუმების საშუალებით, და არა ინდექსის საშუალო ქულით.

[11] United Nations Development Programme (2011). Human Development Report 2011. Palgrave Macmillan, 2011. გვ. 140http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2011/download/ (ნანახია 28.02.12/12:00)

ადამიანის განვითარების ანგარიშში ჩართული გენდერის თანასწორობის ინდექსების მიხედვით გამოქვეყნებული რეიტინგების დროში დინამიკაზე დაკვირვების საშუალებით დასკვნების გაკეთება არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ან გაუარესების შესახებ შეუძლებელია, რადგან ინდექსების დაანგარიშება ხდება ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით და ყოველწლიურად იცვლება ინდექსის ანგარიშში ჩართულ ქვეყანათა რიცხვი. მე-2 დიაგრამაზე მოცემული რეიტინგების მიხედვით მხოლოდ ზოგადი დასკვნის გაკეთება შეიძლება საქართველოში არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე - გაეროს არცერთი გენდერის თანასწორობის ინდექსის მიხედვით საქართველო არ შედის პირველი სამოცი ქვეყნის სიაში.

დიაგრამა 2. გენდერის და განვითარების ინდექსის (GDI), გენდერის გაძლიერების საზომის (GEM) და გენდერის უთანასწორობის ინდექსის (GII) საქართველოს რეიტინგები გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშის მონაცემების მიხედვით



** მოცემული რეიტინგების წლების მიხედვით შედარება უშედეგოა, რადგან სხვადასხვა წელს ანგარიშში ჩართული ქვეყნების რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება.*

III გენდერული სხვაობის ინდექსი

მსოფლიოს ეკონომიკურმა ფორუმმა 2005 წლის მაისში პირველად გამოსცა ანგარიში ,,ქალების გაძლიერება: გენდერული სხვაობის გაზომვა"[12], ხოლო 2006 წელს პირველად შემუშავდა გენდერული სხვაობის ინდექსი, რომელიც 115 ქვეყნისთვის გამოითვალა[13]. გენდერული სხვაობის ინდექსი (Gender Gap Index - GGI) აფასებს განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის ეკონომიკაში მონაწილეობის, განათლების, ჯანმრთელობის/სიცოცხლის უსაფრთხოებისა და პოლიტიკური ჩართულობის მიხედვით. გენდერული სხვაობის ინდექსი ეფუძნება პრინციპს, გამოავლინოს ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული განსხვავება ქალებსა და მამაკაცებს შორის აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით და არა ქვეყანაში არსებული ქალების მდგომარეობა. ასევე, გენდერული სხვაობის ინდექსი აფასებს ქვეყნებს მოცემული კრიტერიუმების ფარგლებში მიღწეული შედეგისა და არა გატარებული პოლიტიკის მიხედვით.

გენდერული სხვაობის ინდექსში (GGI), საქართველოს მონაცემებით, **გენდერული სხვაობა განათლების, ჯანმრთელობის და სოცოცხლის უსაფრთხოების კრიტერიუმის მიხედვით** თითქმის აღმოფხვრილია. თუმცა ჯანმრთელობის და სიცოცხლის უსაფრთხოების კრიტერიუმის შემადგენელი ინდიკატორი - სქესთა თანაფარდობა დაბადებისას - მიუთითებს, რომ საქართველოში შესაძლებელია არსებობდეს „გამქრალი გოგონების" ფენომენი, რაც სქესის მიხედვით სელექციური აბორტების გამო სქესთა ბუნებრივი თანაფარდობის დარღვევას გულისხმობს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, სქესთა თანაფარდობა ბუნებრივ ნორმას აღემატება (უფრო მეტი ბიჭი იბადება, ვიდრე გოგონა). იმისათვის, რომ დადასტურდეს საქართველოში „გამქრალი გოგონების" ფენომენის არსებობა, საჭიროა ამ საკითხის დამატებით შესწავლა. **ეკონომიკური ჩართულობისა და შესაძლებლობების** რეიტინგი აღემატება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს, მაგრამ მნიშვნელოვან გენდერულ უთანასწორობაზე მიუთითებს; ამასთანავე, საერთო ქულის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის მანძილზე (2006-2011 წლების ანგარიშები) არ შეინიშნება. **პოლიტიკური გააქტიურების** კრიტერიუმის მიხედვით კი პოლიტიკურ პროცესებში ქალების მონაწილეობა ძალიან დაბალია და საანგარიშო პერიოდის მანძილზე მუდმივად უარესდება - 2011 წლის ანგარიშის მიხედვით ქალები პოლიტიკურ პროცესებში თითქმის არ მონაწილეობენ. თუმცა 2012 წლის მონაცემების მიხედვით ქალების პოლიტიკური გაძლიერების კრიტერიუმის თვალსაზრისით მცირედი გაუმჯობესება შეინიშნება.

მეთოდოლოგია

გენდერული სხვაობის ინდექსი (Gender Gap Index - GGI) ზომავს, არსებობს თუ არა განსხვავება ქალებისა და მამაკაცების მიერ დაკავებულ პოზიციებს შორის გამოყოფილ კრიტერიუმთან მიმართებაში. გენდერული სხვაობის ინდექსის (GGI) მიზანია, გამოავლინოს, თუ რამდენად ახლოს არის ქვეყანა გენდერულ თანასწორობასთან. ამ მიზნის მისაღწევად თითოეული კრიტერიუმი მოიცავს რამდენიმე ინდიკატორს, და არა ერთს ან ორს, როგორც ეს ადამიანის განვითარების ანგარიშის ინდექსებისთვისაა დამახასიათებელი. ქულები და რეიტინგები, გარდა აგრეგირებული მაჩვენებლისა, გამოთვლილია ყველა კრიტერიუმისა და ინდიკატორისთვის, რაც არსებულ ვითარებას ოთხივე მიმართულების მიხედვით ნათლად წარმოაჩენს. ასევე, გენდერული სხვაობის ინდექსი (GGI) გამოითვლება როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მონაცემებზე დაყრდნობით.

გენდერული სხვაობის ინდექსის (GGI) შემადგენელი კრიტერიუმებია:

- **ეკონომიკაში მონაწილეობა და შე-**

[12] Hausmann, Ricardo, et al(2005). The Global Gender Gap. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2005.pdf (ნანახია 19.05.12/16:00)

[13] Hausmann, Ricardo, et al (2006). The Global Gender Gap Report 2006. World Economic Forum
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2006.pdf (accessed 19.05.12/16:00)

საძლებლობები; შემადგენელი ინდიკატორებია შრომით ბაზარზე ჩართულობის, შემოსავლის, ერთი და იმავე სამუშაოსთვის ხელფასის ოდენობის, კანონმდებლების, ხელმძღვანელი პირების, მენეჯერების და პროფესიული/ტექნიკური მუშაკების შეფარდება ქალისა და მამაკაცის მაჩვენებლების მიხედვით;

- **ხელმისაწვდომობა განათლებაზე;** შემადგენელი ინდიკატორებია წერა-კითხვის ცოდნისა და განათლების პირველ, მეორე და მესამე საფეხურზე ჩარიცხვის შეფარდება ქალისა და მამაკაცის მაჩვენებლების მიხედვით;
- **ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა;** შემადგენელი ინდიკატორებია სქესთა თანაფარდობა დაბადებისას და ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობის ქალისა და მამაკაცის მაჩვენებლების შეფარდება;
- **პოლიტიკური ჩართულობა;** შემადგენელი ინდიკატორებია ქალისა და მამაკაცის მაჩვენებლებს შორის შეფარდება პარლამენტარების და მინისტრების რაოდენობის მიხედვით და ქალის, როგორც ქვეყნის პირველი პირის, მმართველობის წლები.

უთანასწორობის გამოსათვლელად გამოიყენება შემადგენელი ინდიკატორების თანაფარდობა და ქვეყანას ამის მიხედვით ენიჭება ქულა. მაგალითად, თუ ქალი მინისტრების რაოდენობა შეადგენს 20%-ს, მაშინ 20/80=0.25 – ანუ მაჩვენებლებს შორის შეფარდება აღნიშნავს თითოეული ინდიკატორის ქულას. შესაბამისად, ინდექსის კრიტერიუმებისა და ინდიკატორებისთვის 1 ქულა აღნიშნავს თანასწორობას (შეფარდებაა 50/50), ხოლო 0 ქულა - უთანასწორობას. 1 არის მაქსიმალური ქულა, რომელიც შეიძლება მიენიჭოს თითოეულ ინდიკატორს, თუ შეფარდება 1-ზე მეტია, ანუ ქალების მაჩვენებელი რომელიმე კრიტერიუმის მიხედვით აჭარბებს მამაკაცების მაჩვენებელს, ქულა გამოითვლება როგორც 1, რათა არ მოხდეს ერთი მიმართულების ჩამორჩენის კომპენსირება მეორე მიმართულების მიღწევით[14]. ქულების თითოეული კრიტერიუმი წარმოდგენილია „უთანასწორობის რომბზე", რომელიც არსებულ მდგომარეობას ვიზუალურად ასახავს (დიაგრამა 3). ინდექსის გამოსათვლელად გამოიყენება უკანასკნელი 6 წლის მონაცემებიდან უახლესი და ხელმისაწვდომი მონაცემი.

[14] Hausmann, Ricardo, et al (2010). The Global Gender Gap Report 2010. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2010.pdf (ნანახია 19.05.12/16:00)

დიაგრამა 3. საქართველოს „უთანასწორობის რომბი" გენდერული სხვაობის ინდექსის 2012 წლის ანგარიშის მიხედვით*



**დიაგრამა მოცემულია გენდერული სხვაობის 2012 წლიას ანგარიშის საქართველოს მაჩვენებლებში. Hausmann, Ricardo, et al (2012). The Global Gender Gap Report 2011. World Economic Forum. http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2012.pdf (ნანახია 01.11.12 /19:00)*

დიაგრამა 4. საქართველოს რეიტინგი და ქულა გენდერული სხვაობის ინდექსის მიხედვით



საქართველოს მაჩვენებლები

მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის გენდერული სხვაობის ინდექსის (GGI) მაჩვენებლებზე დაყრდნობით, საქართველოში არსებული უთანასწორობა ქალებსა და მამაკაცებს შორის ყველაზე დიდია პოლიტიკური ჩართულობის კრიტერიუმის მიხედვით. ასევე, მნიშვნელოვანი უთანასწორობა არსებობს ეკონომიკური კრიტერიუმის მაჩვენებლის თანახმად, ხოლო განათლებისა და ჯანმრთელობის ინდიკატორის მაჩვენებლების მიხედვით უთანასწორობა მინიმალურია – მაჩვენებლები მერყეობს 0.923-დან 0.950-მდე (დიაგრამა 5). 2012 წლის მონაცემები წარმოდგენილია „უთანასწორობის რომბზე“ (დიაგრამა 3). რომბი ასახავს საქართველოს და მსოფლიოს მაჩვენებლების საშუალოს. საქართველოს რეიტინგები 2006-2012 წლებში (დიაგრამა 4, დიაგრამა 6) და ქულები კრიტერიუმის მიხედვით იმავე პერიოდში (დიაგრამა 4, დიაგრამა 5) აჩვენებს, რომ სიტუაცია გენდერული თანასწორობის მხრივ ოთხივე კრიტერიუმის თანახმად საქართველოში მნიშვნელოვნად არ იცვლება, რადგან დიდად არ იცვლება საქართველოს ქულა, თუმცა უარესდება საქართველოში არსებული გენდერული უთანასწორობა სხვა ქვეყნებში არსებულ გენდერულ უთანასწორობასთან შედარებით. საქართველოს რეიტინგი 2006 წელს დაკავებული 54-ე ადგილიდან 2012 წელს 85-ე ადგილამდე გაუარესდა, ხოლო საქართველოს ჯამური ქულა არ შეცვლილა - 2006 წლის მაჩვენებელი იყო 0.67, ხოლო 2012 წლის - 0.669.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი რეიტინგები არ იძლევა ზუსტი შედარების საშუალებას, რადგან 2006 წლიდან იცვლებოდა ანგარიშში ჩართული ქვეყნების რიცხვი, თუმცა დასკვნის გაკეთება მაინც შესაძლებელია, რადგან იმდენად მნიშვნელოვნად არ გაზრდილა ქვეყნების რაოდენობა, როგორც გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშის ინდექსებისთვის. გენდერული სხვაობის ინდექსში (GGI) ჩართული ქვეყნების რიცხვი 2006 წლიდან 2012 წლამადე გაიზარდა 20 ქვეყნით, 115-დან 135-მდე (დიაგრამა 4), ხოლო საქართველოს რეიტინგი ამავე პერიოდში შემცირდა 31 ერთეულით. ასევე, ანგარიშს ემატებოდა ის ქვეყნები, რომლებზეც მონაცემები

დიაგრამა 5. საქართველოს მაჩვენებლები გენდერული სხვაობის ინდექსის კომპონენტების მიხედვით

წინა საანგარიშო პერიოდისთვის არ იყო ხელმისაწვდომი - საუბარია განვითარებად ქვეყნებზე, რომელთა უმრავლესობას არ გააჩნია მაღალი მაჩვენებლები გენდერის სხვაობის ანგარიშის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული სხვაობის რეიტინგები მიუთითებს საქართველოში არსებული გენდერული თანასწორობის გაუარესებაზე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში არსებულ ვითარებასთან შედარებით, დიაგრამა 6 აჩვენებს, რომ რეიტინგების, განსაკუთრებით ინდექსის ცალკეული კრიტერიუმების რეიტინგის, მცირე გაუმჯობესების/გაუარესების საფუძველზე არ შეიძლება ქვეყანაში არსებულ პროგრესზე მსჯელობა. ამის ყველაზე კარგი მაგალითია განათლების ინდექსის რეიტინგი, რომლის მიხედვითაც საქართველო 2006 წელს 28-ე ადგილზეა, 2008 წელს 1-ზე, ხოლო 2011 წელს 67-ე ადგილზე. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში გენდერული უთანასწორობა განათლებასთან მიმართებით დრამატულად იცვლებოდა ამ დროის მანძილზე - წარმოდგენილი კრიტერიუმი ზომავს უთანასწორობას განათლებასთან ხელმისაწვდომობის მხრივ, რომელიც, თავის მხრივ, იზომება წერა-კითხვის დონით და ჩარიცხვით სწავლების პირველ, მეორე და მესამე საფეხურზე. დიაგრამა 3 აჩვენებს, რომ ანგარიშში ჩართულ ქვეყნებს მაღალი ქულები აქვთ განათლების კრიტერიუმის მიხედვით. შესაბამისად, მცირე ცვლილება ქულაში, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაში მოხდა – ქულა მერყეობდა 0.981-სა და 1-ს შორის ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით – იწვევს რეიტინგის მნიშვნელოვან ცვლილებას.

გენდერული სხვაობის ინდექსის (GGI) რეიტინგების და ქულების ზედაპირულმა შედარებამ შესაძლოა არაზუსტი დასკვნების გაკეთება გამოიწვიოს. რეიტინგები ასახავს ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ ვითარებას სხვა ქვეყნებთან მიმართებით, რაც თავისთავად არ ნიშნავს კარგ ან ცუდ ვითარებას - უბრალოდ, სხვა ქვეყნებთან შედარების საშუალებას წარმოადგენს. იგივე შენიშვნა ეხება ანგარიშში ჩართული ქვეყნების საშუალო ქულას - 2012 წლის გლობალური ანგარიშის მიხედვით, არც ერთ ქვეყანას არ აქვს მიღწეული სრული გენდერული თანასწორობა ინდექსში შესული კრიტერიუმების მიხედვით. ყველაზე კარგი

მდგომარეობაა სკანდინავიის ქვეყნებში, სადაც გენდერული სხვაობის 80%-ია აღმოფხვრილი[15]. თუმცა ანგარიშში ჩართული ქვეყნების უმრავლესობას შეადგენენ განვითარებადი ქვეყნები, შესაბამისად, საშუალო ქულაზე მაღალი მაჩვნებელი, როგორიც, მაგალითად, საქართველოს გენდერული სხვაობის ინდექსის (GGI) ეკონომიკური კრიტერიუმია (დიაგრამა 5), ცალსახად არ მიუთითებს საქართველოში არსებულ გენდერულ თანასწორობაზე ამ კრიტერიუმთან მიმართებით. დეტალურად ინდექსის თითოეული შემადგენელი კომპონენტი განხილულია ქვემოთ.

[15] Hausmann, Ricardo, et al (2011). The Global Gender Gap Report 2011. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2011.pdf (ნანახია 19.05.12/16:00)

საქართველოს მაჩვენებლები: ეკონომიკაში მონაწილეობა და შესაძლებლობები

გენდერული სხვაობის ინდექსის (GGI) ეკონომიკაში მონაწილეობისა და შესაძლებლობების მაჩვენებლის ქულა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე მაღალია, თუმცა საქართველოში ამ მხრივ არსებულ მნიშვნელოვან გენდერულ უთანასწორობაზე მიუთითებს და 2006-2012 წლებში მხოლოდ მცირედით არის გაუმჯობესებული. ეკონომიკაში მონაწილეობისა და შესაძლებლობის კრიტერიუმის შემადგენელი ინდიკატორებია შრომით ბაზარზე ჩართულობა, შემოსავალი, ერთი და იმავე სამუშაოსთვის ხელფასის ოდენობა, კანონმდებლების, ხელმძღვანელი პირების, მენეჯერების და პროფესიული/ტექნიკური მუშაკების შეფარდება ქალისა და მამაკაცის მიერ დაკავებული პოზიციების მიხედვით. ყველა შემადგენელი ინდიკატორის ქულის მიხედვით საქართველოს ქულები მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე მაღალია, თუმცა, მიუხედავად ამისა, თითოეული ინდიკატორი მიუთითებს, რომ ქალებისა და მამაკაცების

დიაგრამა 6. საქართველოს რეიტინგი გენდერული სხვაობის ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით



დიაგრამა 7. გენდერული სხვაობის ინდექსი - ეკონომიკაში მონაწილეობა და შესაძლებლობები



მიერ დაკავებული პოზიციები მნიშვნელოვნად განსხვავებულია და გენდერული უთანასწორობა არსებობს. გამონაკლისს წარმოადგენს პროფესიული და ტექნიკური მუშაკების რაოდენობის მაჩვენებელი, რომლის მიხედვით საქართველოში გენდერული სხვაობა არ არსებობს. ვითარება მკვეთრად გაუმჯობესებულია შრომითი ჩართულობისა და ხელმძღვანელი პირებისა და მენეჯერების ინდიკატორების მიხედვით, სახელფასო თანასწორობის მხრივ კი გაუარესება შეინიშნება – თუმცა ამ ინდიკატორის მიხედვით მონაცემები საკმარისი არ არის დასკვნის გასაკეთებლად.

2006 წელს ქალების ეკონომიკაში მონაწილეობის საქართველოს მაჩვენებელი 0.645-ს შეადგენდა, 2007 წელს უმნიშვნელოდ, 0.630-მდე შემცირდა, ხოლო 2008-2012 წლებში კვლავ გაიზარდა და 0.677 ქულას მიაღწია (დიაგრამა 7). მოცემული ქულა მნიშვნელოვნად აღემატება ანგარიშში ჩართული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, რომელიც 0.599 ქულას შეადგენს 2012 წელს. ეკონომიკაში მონაწილეობისა და შესაძლებლობების 2012 წლის ანგარიშის თანახმად, ინდექსის შემადგენელ კრიტერიუმებს შორის საქართველოს მაჩვენებლებს ყველაზე დიდი დადებითი სხვაობა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან მიმართებით სწორედ ეკონომიკაში მინაწილეობის მიხედვით აქვს (დიაგრამა 3). მეორეს მხრივ, ეკონომიკური მაჩვენებლის ქულა - 0.677 - მიღებულია ქალებისა და მამაკაცების მიერ დაკავებული პოზიციების პროცენტული მაჩვენებლების შეფარდებით: ქალები - 40%, მამაკაცები - 60%, რაც ნათლად ასახავს განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის ეკონომიკაში მონაწილეობის მხრივ.

შრომით ბაზარზე ჩართულობის ინდიკატორის ქულა (დანართი 1.1) 2011 წლის ანგარიშის მიხედვით 0.76-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად მაღალია მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე - 0.68 ქულაზე. საქართველოს ქულა მიღებულია 2010 წლის მონაცემებზე დაყრდნობით: მამაკაცების ჩართულობა შრომით ბაზარზე - 78%, ქალებისა - 59%[16]. 2012 წლის საქართველოს მონაცემები სრულად ემთხვევა 2011 წლის

[16] Hausmann, Ricardo, et al (2011). The Global Gender Gap Report 2011. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2011.pdf (ნანახია 19.05.12/16:00)

მაჩვენებელებს, ხოლო რეიტინგი არის 69. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ქულა 2006 წლის მაჩვენებელთან შედარებით შრომითი ჩართულობის მიხედვით გაუმჯობესდა – 0.66-დან 0.76-მდე გაიზარდა. თუმცა დამატებით შესწავლას მოითხოვს, ხომ არ ასრულებენ ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო დაბალკვალიფიციურ სამუშაოს – მაგალითად, მუშაობენ საოჯახო საქმეში დამხმარეებად, ან მუშაობენ თუ არა კარიერული კიბის უფრო დაბალ საფეხურზე. მსოფლიოს განვითარების 2012 წლის ანგარიშის საქართველოს შესახებ დანართი მიუთითებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქალებმა უფრო სწრაფად გაიაზრეს, რომ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი დასაქმების იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა და მოახერხეს ახალ რეალობასთან სწრაფად ადაპტირება დაბალკვალიფიციური სამუშაოს საშუალებით, ხშირად არაფორმალურ ან თვითდასაქმების სექტორში – მაგალითად, ქუჩაში გამყიდველებად და საოჯახო დამხმარეებად[17]. ქვემოთ მოყვანილი მონაცემები შემოსავლის და სახელფასო თანასწორობის შესახებ მიუთითებს ამ მხრივ დამატებითი კვლევის საჭიროებაზე.

დასაქმებულთა შორის პროფესიული და ტექნიკური მუშაკების რაოდენობა არის ერთადერთი ეკონომიკური ინდიკატორი, რომლის მიხედვითაც გენდერული სხვაობა არ არსებობს – მამაკაცების მაჩვენებელი არ აღემატება ქალების მაჩვენებელს (დანართი 1.5). საქართველოს ქულა ყველა ანგარიშის მიხედვით შეადგენს 1-ს, ხოლო 2011 წლის ანგარიშის მინაცემების მიხედვით ქალებისა და მამაკაცების პროცენტული განაწილება ასეთია: 62% - ქალები, 38% - მამაკაცები. ასეთი შეფარდება განაპირობებს ქულას 1.62, რომელიც ანგარიშში შესულია როგორც 1, რადგან შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით გენდერული სხვაობის ინდექსი ზომავს ქალების მაჩვენებლების ჩამორჩენას მამაკაცების მაჩვენებლებთან და არა მაჩვენებლების მიხედვით სრულ თანასწორობას, რათა არ მოხდეს რომელიმე კრიტერიუმის/ინდიკატორის მიხედვით არსებული დაბალი მაჩვენებლების კომპენსირება სხვა კრიტერიუმის/ინდიკატორის მაღალი მაჩვენებლებით. მსოფლიოს განვითარების 2012 წლის ანგარიშის საქართველოს შესახებ ჩანართში მითითებულია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ის სექტორები, სადაც ქალები იყვნენ დასაქმებულნი (განათლებისა და სამედიცინო სექტორი) ნაკლებად დაზარალდა ეკონომიკის სხვა მიმართულებებთან შედარებით, სადაც მასობრივად მოხდა საწარმოების და ფირმების დახურვა[18]; აღნიშნული ფაქტი ხსნის ქალი და მამაკაცი ტექნიკური და პროფესიული მუშაკების რაოდენობის არაპროპორციულ მაჩვენებელს. 2012 წლის მონაცემებით ამ პარამეტრის მიხედვით საქართველოს ქულა არის კვლავ 1, ხოლო ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი ჩამოუვარდება საქართველოს მონაცემს და შეადგენს 0.63 ქულას.

ქალების შემოსავლის მიხედვით საქართველოს საშუალო მაჩვენებელი 2011 წლის ანგარიშის მიხედვით (0.52) ასევე აღემატება მსოფლიოს საშუალოს, რომელიც ძალიან დაბალია და 0.39-ს შეადგენს (დანართი 1.3). საქართველოს დაბალი რეიტინგი – 115-ე ადგილი 135 ქვეყანას შორის მიუთითებს როგორც სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში არსებულ არასასურველ ვითარებაზე, ასევე, იმ გარემოებაზე, რომ ანგარიშში ჩართული ქვეყნების მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. მონაცემები მიღებულია ქალებისა და მამაკაცების საშუალო წლიური შემოსავლით აშშ დოლარში (კორექტირებული მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით), რაც საქართველოში შეადგენს 2771 აშშ დოლარს ქალისთვის, ხოლო 7030 აშშ დოლარს – მამაკაცისთვის ამავე (2011 წლის) ანგარიშის მიხედვით[19]. 2012 წლის ანგარიშის თანახმად კი საქართველო 116-ე ადგილს იკავებს 135 ქვეყანას შორის, საქართველოს ქულა გახლავთ 0.40, შესაბამისად, 2011 წლის ანგარიშის მიერ აღწერილი მდგომარეობა არ არის შეცვლილი.

კანონმდებლები, ხელმძღვანელი პირები და მენეჯერები – ამ ინდიკატორის მაჩვენებელი 2006 წელს მცირედით ჩამორჩება მსოფლიოს

[17] The World Bank (2012) World Development Report. Gender Equality and Development. http://siteresources.worldbank.org/INTWDR2012/Resources/7778105-1299699968583/7786210-1315936222006/Complete-Report.pdf (ნანახია 25.09.2012; 17:00). გვ. 322

[18] (ibid)

[19] Hausmann, Ricardo, et al (2011). The Global Gender Gap Report 2011. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2011.pdf (ნანახია 19.05.12/16:00)
Hausmann, Ricardo, et al (2012). The Global Gender Gap Report 2011. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2012.pdf (ნანახია 01.11.12 /19:00)

საშუალოს და შეადგენს 0.39-ს ქულას, ხოლო 2011 და 2012 წლების ანგარიშების მიხედვით საქართველოს ქულა მსოფლიოს საშუალოს უსწრებს და 0.51-ს შეადგენს (დანართი 1.4). ეს ნიშნავს, რომ არსებული ვითარება უმჯობესდება, მაგრამ კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გენდერული უთანასწორობა ამ მიმართულებით – 2011/2012 წლის ანგარიშის მონაცემების მიხედვით, ქალი და მამაკაცი კანონმდებლების, ხელმძღვანელი პირების და მენეჯერების პროცენტული შეფარდება შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: 34% – ქალები და 66% – მამაკაცები[20].

სახელფასო თანასწორობა ეკონომიკური ჩართულობისა და შესაძლებლობების მიმართულების ერთადერთი ინდიკატორია, რომლის ქულაც თვისებრივი მონაცემების მიხედვით, ექსპერტულ ინტერვიუებზე დაყრდნობით იქნა გამოთვლილი, განსხვავებით ამავე მიმართულების სხვა ინდიკატორებისგან. საქართველოს მაჩვენებელი, ისევე, როგორც ამ მიმართულების ინდიკატორების უმეტესობისა, აღემატება მსოფლიოს საშუალოს – 2012 წლის ანგარიშის მიხედვით ქვეყნებს შორის საქართველოს რეიტინგი არის 10, ქულა არის 0.77, რაც ქვეყნების საშუალოს – 0.64 ქულას აღემატება. 2011 წლის საქართველოს ქულა 0.76-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც მსოფლიოს საშუალო – 0.65 ქულაა (დანართი1.2). სახელფასო თანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით 2011 წლის ანგარიშში 135 ქვეყანას შორის საქართველოს 22-ე ადგილი უკავია. თუმცა 2006 წლის ანგარიშის ქულასთან შედარებით ვითარების გაუარესება შეინიშნება, რადგან შემცირდა როგორც ქულა, ასევე რეიტინგი – 2006 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოს ქულა 0.82-ს შეადგენდა, რეიტინგის მიხედვით კი საქართველოს მე-4 ადგილი ეკავა. მსოფლიოს განვითარების ანგარიშში მითითებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემები, რომელთა მიხედვით საქართველოში შეფარდება ქალისა და მამასაცის გამომუშავებულ ანაზღაურებას შორის (earning gap) შეადგენს 60 ცენტს/ 1 აშშ დოლართან[21]. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოში ქალსა და მამაკაცს ერთი და იმავე სამუშაოს შესრულებისთვის სხვადასხვა ანაზღაურებას უხდიან, რადგან შესაძლოა, განსხვავება ხელფასში გამომდინარეობდეს სხვადასხვა სირთულის და კვალიფიკაციის სამუშაოს შესრულებიდან; შესაბამისად, საჭიროა როგორც აღნიშნული საკითხის, ასევე შრომის ბაზარზე ვერტიკალური და ჰორიზონტალური სეგრეგაციის შესწავლა.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მსოფლიოს საშუალოზე უკეთესი მაჩვენებლებისა, არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც პრობლემურია გენდერული სხვაობის ინდექსის ეკონომიკაში მონაწილეობისა და ჩართულობის კრიტერიუმის მიხედვით და/ან დამატებით შესწავლას საჭიროებს. მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი ამ შემთხვევაში არ არის ადეკვატური მარკერი, რადგან დიაგრამა 3 მიუთითებს, რომ ამ მიმართულების მიხედვით, 2012 წლის ანგარიშის თანახმად, მსოფლიოში ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავების მხოლოდ 50%-ია აღმოფხვრილი. საქართველოში იგივე მაჩვენებელი 60%-ს აღწევს. ასევე, ქალების შრომის ბაზარზე მზარდ ჩართულობასთან ერთად, პროფესიული და ტექნიკური მუშაკების არაპროპორციული მაჩვენებელი (2011 წლის ანგარიში - ქალები 62%/მამაკაცები 38%) განათლებისა და სამედიცინო სექტორებში ქალების დასაქმებას ასახავს. სამუშაოს შესრულებისას სახელფასო უთანაწორობის მზარდი მაჩვენებლები დამატებით შესწავლას საჭიროებს - აღნიშნული კომპონენტი ეყრდობა ექსპერტთა ინტერვიუს შედეგებს, სანდო სტატისტიკური მონაცემები ამ მიმართულებით არ არსებობს, ხოლო მსოფლიოს განვითარების ანგარიშის და GGI-ს საშუალო შემოსავლის ინდიკატორის მიხედვით დიდი უთანასწორობა არსებობს როგორც ქალისა და მამაცის საშუალო შემოსავალს, ასევე საშუალო ანაზღაურებას შორის. თუმცა ცალსახად პოზიტიურ ტენდენციას ასახავს ქალი კანონმდებლების, ხელმძღვანელი პირების და მენეჯერების მაჩვენებლის ზრდა.

[20] (ibid)

[21] The World Bank (2012) World Development Report. Gender Equality and Development. http://siteresources.worldbank.org/INTWDR2012/Resources/7778105-1299699968583/7786210-1315936222006/Complete-Report.pdf (ნანახია 25.09.2012; 17:00). გვ 17.

დიაგრამა 8. გენდერული სხვაობის ინდექსი - ხელმისაწვდომობა განათლებაზე



საქართველოს მაჩვენებლები: ხელმისაწვდომობა განათლებაზე

გენდერული სხვაობის ინდექსის (GGI) განათლებაზე ხელმისაწვდომობის კრიტერიუმის საქართველოს ქულა უმნიშვნელოდ აღემატება მსოფლიოს საშუალოს და შემადგენელი ინდიკატორების მიხედვით არ მიუთითებს საქართველოში არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე. განათლებაზე ხელმისაწვდომობა გენდერული სხვაობის ინდექსის (GGI) ფარგლებში წერა-კითხვის ცოდნით და განათლების პირველ, მეორე და მესამე საფეხურზე ჩარიცხვით იზომება.

განათლებაზე ხელმისაწვდომობის საერთო ქულა არსებული ანგარიშების მიხედვით 0.981-დან 1-მდე მერყეობს (დაიგრამა 8). 2012 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოს ქულა 0.979-ია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქალების/მამაკაცების ჯამური მაჩვენებლების შეფარდება დაახლოებით 49.5%/50.5%-ია; ეს ნიშნავს, რომ გენდერული განსხვავება განათლებაზე ხელმისაწვდომობის მიხედვით არ არსებობს– აღნიშნული სხვაობა შესაძლოა გამოიწვიოს სქესთა არსებულმა თანაფარდობამ (იზომება ჩარიცხული მოსწავლეების პროცენტული შეფარდება განათლების პირველ, მეორე და მესამე საფეხურზე და არა გოგონების და ბიჭების არსებული რაოდენობიდან რამდენი პროცენტი იღებს განათლებას). საქართველოს რეიტინგი პირველი ადგილიდან (2008)[22] 88-მდე მერყეობს (2010)[23]. რა თქმა უნდა, რეიტინგის ასეთი ცვლილება არ მიუთითებს ორი წლის მანძილზე მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებაზე, ის ანგარიშში ჩართული ქვეყნების მონაცემთა განაწილებასთან ქულის ცვლილების დამოკიდებულებას ასახავს. გენდერული სხვაობა განათლების კრიტერიუმის მიხედვით ანგარიშში ჩართული ქვეყნების საშუალოსთან მიმართებაში თითქმის აღმოფხვრილია; ამიტომ ანგარიშში ჩართული ქვეყნების უმეტესობის ქულა მიახლოებულია 1-თან; საქართველოს ქულის მცირედი ცვლილება იწვევს რეი-

[22] Hausmann, Ricardo, et al (2008). The Global Gender Gap Report 2008. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2008.pdf (ნანახია 19.05.12/16:00)

[23] Hausmann, Ricardo, et al (2010). The Global Gender Gap Report 2010. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2010.pdf (ნანახია 19.05.12/16:00)

ტინგის მკვეთრად გაუმჯობესებას ან გაუარესებას. ეს მაგალითი კარგად აჩვენებს იმ ხარვეზებს, რომლებიც რეიტინგებით ქვეყნების შეფასებას შეიძლება ახლდეს თან. განათლებაზე ხელმისაწვდომობის კრიტერიუმის შემადგენელი ინდიკატორები მოცემულია დანართებში 1.6, 1.7, 1.8 და 1.9 დიაგრამებზე. ყველა ინდიკატორის მაჩვენებელი მიახლოებულია 1-თან.

საქართველოს მაჩვენებლები: ჯანმრთელობა და სიცოცხლის უსაფრთხოება

ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოების კრიტერიუმის მიხედვით გენდერული სხვაობა თითქმის აღმოფხვრილია და არსებული მდგომარეობა ყოველწლიურად უმჯობესდებოდა 2006 წლის ანგარიშის ქულასთან შედარებით. თუმცა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოების შემადგენელი ინდიკატორია სქესთა თანაფარდობა დაბადებისას, რომელიც საქართველოში სქესის მიხედვით სელექციური აბორტების გამო „გამქრალი გოგონების“[24] შესაძლო არსებობაზე მიუთითებს. ჯანმრთელობის და სიცოცხლის უსაფრთხოების კრიტერიუმი წარმოდგენილია ინდიკატორებით - ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა და დაბადებისას სქესთა თანაფარდობა.

საქართველოს ქულა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოების კრიტერიუმის მიხედვით 2006 წლის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 0.923 ქულას, 2012 წლის ანგარიშის თანახმად 0.95-მდე გაუმჯობესდა (დიაგრამა 9). 2012 წლის ქულა მიუთითებს, რომ ამ კრიტერიუმის მიხედვით ქალებისა და მამაკაცების პოზიციებს შორის არის თანაფარდობა 48.5%/51.5%-თან, რაც თავისთავად აჩვენებს, რომ გენდერული სხვაობა თითქმის აღმოფხვრილია. მეორეს მხრივ, განსხვავებული დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ ჯანმრთელობის და სიცოცხლის უსაფრთხოების შემადგენელი ინდიკატორების აღწერის შედეგად: გენ-

[24] ტერმინი „გამქრალი გოგონები“ (missing woman) ასახავს ახლად დაბადებულ ჩვილებსა და ბავშვებს შორის სქესთა არაბუნებრივ თანაფარდობას – ბიჭების სიჭარბეს, რაც გამოწვეულია ულტრაბგერითი გამოკვლევის საშუალებით სქესის მიხედვით სელექციური აბორტებით და ბავშვებს შორის გოგონების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობით, რაც მათი სიკვდილიანობის ზრდას იწვევს.

დიაგრამა 9. გენდერული სხვაობის ინდექსი - ჯანმრთელობა და სიცოცხლის უსაფრთხოება



დერული სხვაობა, რომელიც არსებობს ინდექსის ჯამურ ქულაში, გამოწვეულია დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ინდიკატორის ქულით, რომელიც ნაკლებია 1-ზე (დანართი 1, დიაგრამა 10). მეორე შემადგენელი ინდიკატორის, ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობის, ქულა ყველა ანგარიშის მიხედვით უტოლდება 1-ს (დანართი 1, დიაგრამა 11). იმ შემთხვევაში, თუ სიცოცხლის ხანგრძლივობა 1-ს აღემატება, კრიტერიუმის ჯამური ქულის გამოთვლისას ინდიკატორის ქულა მაინც დაანგარიშდება როგორც 1.

თა თანაფარდობა საქართველოში სქესთა ბუნებრივი თანაფარდობის ფარგლებშია: სქესთა ბუნებრივი თანაფარდობა დაბადებისას უნდა შეადგენდეს 103-106 ბიჭს 100 გოგონაზე[25]. შესაბამისად, გენდერული სხვაობის ინდექსის 2011 და 2012 წლების ანგარიშის გაუმჯობესებული მონაცემები წინააღმდეგობაში მოდის დემოგრაფიულ მონაცემებთან - 2010 წელს ყოველ 100 გოგონაზე 107.9 ბიჭი დაიბადა, ხოლო 2011 წელს - 110. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2008 წელს განსაკუთრებული განსხვავება

ცხრილი 1. ახლად დაბადებულ ბავშვებს შორის გოგონების და ბიჭების პროცენტული რაოდენობა და სქესთა თანაფარდობა დაბადებისას საქართველოში 2006-2011 წლებში (მომზადებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით)*

	2006	2007	2008	2009	2010	2011
ახლადდაბადებულ ბავშვებს შორის ბიჭების პროცენტული რაოდენობა	52.8%	52.5%	56.1%	51.1%	51.9%	52.3%
ახლადდაბადებულ ბავშვებს შორის გოგონების პროცენტული რაოდენობა	47.2%	47.5%	43.9%	48.9%	48.1%	47.7%
დაბადებული ბიჭების რაოდენობა 100 დაბადებულ გოგონაზე	111.9	110.6	127.7	104.5	107.9	110

*საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ოფიციალური ვებგვერდი. http://geostat.ge/?action=page&p_id=475&lang=geo (ნანახია 1.06.12; 15:15)

დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ინდიკატორის მონაცემები მიუთითებს „გამქრალი გოგონების“ შესაძლო არესებობაზე საქართველოში - სქესის მიხედვით შერჩევითი აბორტების პრაქტიკაზე, რომლის შედეგადაც უფრო მეტი ბიჭი იბადება, ვიდრე სქესთა ბუნებრივი თანაფარდობის შემთხვევაში, თუმცა დარწმუნებით მტკიცებისთვის უფრო სანდო და გრძელვადიანი მონაცემებია საჭირო. საქართველოს ქულა 2006 წლის ანგარიშის მიხედვით შეადგენს 0.86-ს, რაც 2012 წლის ანგარიშში უმჯობესდება 0.92-მდე; გენდერული სხვაობის ანგარიშების მიხედვით დაბადებული გოგონების და ბიჭების პროცენტული შეფარდება მხოლოდ 2006-2007 წლების ანგარიშებშია მოცემული: 2006 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოში ახალდაბადებულ ბავშვებს შორის 46% იყო გოგო, ხოლო 2007 წლის ანგარიშის მიხედვით - 47%. ინდექსის ქულის ზრდა ვითარების გაუმჯობესებაზე მიუთითებს, თუმცა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2009 წლის მაჩვენებელი ერთადერთია 2006 წლიდან 2011 წლამდე მონაცემებში, როდესაც სქესშეინიშნება დაბადებული გოგონების და ბიჭების რაოდენობას შორის - ყოველ 100 გოგონაზე 127.7 ბიჭი დაიბადა. მონაცემების ასეთი განსვლა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ხარვეზების არსებობა მონაცემების შეგროვებისას.

მეორეს მხრივ, მსოფლიოს განვითარების ანგარიში საქართველოს (ჩინეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, სერბეთთან და ინდოეთთან ერთად) მიაკუთვნებს ქვეყნების კატეგორიას, სადაც ყველაზე მეტი გოგონა არ იბადება სელექციური აბორტების გამო[26]. წინამდებარე ანგარიშში მოცემული სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსიც (SIGI) მიუთითებს საქართველოში როგორც “გამქრალი გოგონების” არსებობას, ასევე ბავშვის დაბადებისას ბიჭისთვის უპირატესობის მინიჭებას, რაც სელექციური აბორტებისთვის წინაპირობას

[25] Bhaskar, V. and Gupta, Bishnupriya (2007) India’s Development in the Era of Growth. OXFORD REVIEW OF ECONOMIC POLICY, 23 (2). pp. 135-142

[26] World Bank (2012) World Development Report. Gender Equality and Development. http://siteresources.worldbank.org/INTWDR2012/Resources/7778105-1299699968583/7786210-1315936222006/Complete-Report.pdf (ნანახია 25.09.2012; 17:00). გვ. 122

წარმოადგენს. ეს საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა საქართველოში სქესის მიხედვით სელექციური აბორტების პრაქტიკა. ჟურნალმა „ლიბერალმა“ 2009 წელს გაამახვილა აღნიშნულ საკითხზე ყურადღება[27], თუმცა სელექციური აბორტების პრაქტიკა ნაკლებად შესწავლილი საკითხია.

საქართველოს მაჩვენებლები: პოლიტიკური გაძლიერება

საქართველოში გენდერული სხვაობის ინდექსის (GGI) თანახმად, ყველაზე ცუდი ვითარებაა პოლიტიკური გაძლიერების (Political Empowerment) თვალსაზრისით - როგორც საქართველოს მაჩვენებელი მიუთითებს, მისი შემადგენელი ინდიკატორების მიხედვით, საქართველოში ქალები პოლიტიკურ პროცესებში თითქმის არ მონაწილეობენ. პოლიტიკური გააქტიურების კრიტერიუმის შემადგენელი იდნიკატორებია: ქალები პარლამენტში, ქალები მინისტრის პოზიციებზე და ქალის, როგორც ქვეყნის პირველი პირის, მმართველობის წლები.

[27]თიკო ცომაია (2009). გამქრალი გოგოები. ჟურნალ „ლიბერალის“ ოფიციალური ვებგვერდი. 17 დეკემბერი, 2009 წ. http://liberali.ge/node/996 (ნანახია1.06.12; 15:15)

გარდა ამისა, საქართველოს მაჩვენებელი ჩამორჩება ანგარიშში ჩართული ქვეყნების საშუალოს, რომელიც 2006 წლის შემდეგ უმჯობესდება, ამავდროულად, ქალების პოლიტიკური გააქტიურების მხრივ საქართველოს მაჩვენებელი უარესდება.

საქართველოს ქულები და ანგარიშში ჩართული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი მოცემულია დიაგრამაზე 11. 2006 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოს ქულა შეადგენს 0.104-ს და ყოველწლიურად მცირდება. 2011 წლის ანგარიშში ქულა შეადგენს 0.039-ს, რაც ნიშნავს, რომ სამივე შემადგენელი ინდიკატორის გათვალისწინებით ქალებისა და მამაკაცების პოზიციები პოლიტიკური გააქტიურების მიხედვით ნაწილდება შემდეგი სახით: 4% ქალები და 96% მამაკაცები. მსოფლიოს საშუალო ქულა ასევე ძალიან მცირეა პოლიტიკური გააქტიურების კრიტერიუმის მიხედვით - ყველა ანგარიშის თანახმად 0.2-ზე ნაკლებია; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი იზრდება, ამავდროულად, საქართველოსი მცირდება. 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ქულა მცირედით უმჯობესდება და 0.071-ს შეადგენს.

დიაგრამა 11. გენდერული სხვაობის ინდექსი - პოლიტიკური გაძლიერება



ინდიკატორი ქალები პარლამენტში (დანართი 1.12) ყველა ანგარიშის მიხედვით ჩართული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს ჩამორჩება - ქულა მერყეობს 0.05-დან 0.10-მდე, ხოლო საქართველოს რეიტინგი - 86-დან 124-მდე. ქალების რაოდენობა პარლამენტში გენდერული სხვაობის ინდექსის 2006-2008 წლების ანგარიშების მიხედვით 9%-ს შეადგენს, 2009 წლის ანგარიშის მიხედვით - 10%-ს, ხოლო 2010-2012 წლების ანგარიშების მიხედვით - 7%-ს.

პოლიტიკური გაძლიერების კრიტერიუმის ინდიკატორებიდან ინდიკატორი ქალები მინისტრის პოზიციაზე ყველაზე მკვეთრად გაუარესდა. ქალები მინისტრის პოზიციაზე 2006-2009 წლებისთვის ანგარიშში ჩართული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს აღემატება, ხოლო 2010-2011 წლების მიხედვით ჩამორჩება (დანართი 1.13). 2006 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოს ქულა 0.29-ს შეადგენს, 2011 წლის ანგარიშის მიხედვით კი 0.06-მდე მცირდება. შესაბამისად, საქართველოს რეიტინგი იმავე ანგარიშების მიხედვით 27-ე ადგილიდან 118-ე -ადგილზე ინაცვლებს. პროცენტულად ეს მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოისახება - 2006 წლის ანგარიშის თანახმად, მინისტრის პოზიციების 22% ქალებს ეკავათ, რაც 2011 წლის ანგარიშის მიხედვით 6%-მდე შემცირდა. თუმცა იგივე მაჩვენებელი 2012 წლის ანგარიშზე დაყრდნობით კვლავ მცირედით გაუმჯობესებულია – ქულა შეადგენს 0.19-ს (ქალი მინისტრების პროცენტული რაოდენობა - 16%).

პოლიტიკური გაძლიერების კრიტერიუმის მესამე ინდიკატორია ქალის, როგორც ქვეყნის პირველი პირის, მმართველობის წლები. საქართველოს მაჩვენებლები ამ მხრივ ნულს უტოლდება 2006 წლის ანგარიშის მიხედვით. ამავე ანგარიშის თანახმად მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი 0.04 ქულას შეადგენს (დანართი 1.14). თუმცა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებში მცირედი გაუმჯობესება შეინიშნება - 2011 წლისთვის ქულა 0.16-მდე იზრდება. საქართველოს ქულა 2008-2011 წლების საანგარიშო პერიოდისთვის 0.01-ს შეადგენს, რაც 2007 წელს პრეზიდენტის გადადგომის შედეგად ქვეყნის პირველი პირის მოვალეობის შესრულების პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძისთვის გადაცემით იყო განპირობებული.

IV სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი

სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი (SIGI) გენდერულ თანასწორობაზე ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების გავლენას აფასებს. ინდექსი შემუშავებულია თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ. ხელმისაწვდომია 2009 და 2012 წლების ანგარიშები. სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს აფასებს. აღნიშნული ანგარიშის რეიტინგის მიხედვით საქართველო 102 ქვეყანას შორის 33-ე ადგილზეა 2009 წელს[28] და 86 ქვეყანას შორის მე-60 ადგილზეა 2012 წელს[29]. ამავე ანგარიშის მიხედვით საქართველო მიეკუთვნა მაღალი გენდერული დისკრიმინაციის მქონე ქვეყნების კატეგორიას. 2009 და 2012 წლის ანგარიშების შედეგები რადიკალურად განსხვავებულია - 2009 წლის ანგარიშის მიხედვით სოციალური ინსტიტუტების გავლენა გენდერულ თანასწორობაზე საქართველოში ქალთა ფიზიკური ხელშეუხებლობის (პრობლემის ამსახველი ინდიკატორი - ქალის მიმართ ძალადობა) და ოჯახური კოდექსის (პრობლემის ამსახველი ინდიკატორი - ადრეულ ასაკში ქორწინება) კრიტერიუმების მიხედვით არსებობს. ასევე, ამ ანგარიშის ერთ-ერთი ინდიკატორი, ვაჟის დაბადებისთვის უპირატესობის მინიჭება, უფრო სრულყოფილი მეთოდოლოგიის მქონე გენდერული სხვაობის ინდექსის ანგარიშს ეწინააღმდეგება.

რაც შეეხება 2012 წლის ანგარიშს, რეიტინგის და საერთო ქულის მკვეთრი გაუარესების გარდა, საქართველოში ინდექსის შემადგენელი ყველა კრიტერიუმის მიხედვით (დისკრიმინაციული ოჯახური კოდექსი, შეზღუდული სამოქალაქო უფლებები, ფიზიკური ხელშეუხებლობა, ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭება, შეზღუდული რესურსები და მემკვიდრეობა) დაფიქსირდა სოციალური ინსტიტუტების გავლენა გენდერულ თანასწორობაზე. შეფასებების გაუარესება ინდექსის გამოთვლის მეთოდის ცვლილებამ გამოიწვია - 2009 წლის ანგარიშის ინდიკატორებს დაემატა ახალი, არაფორმალური ინსტიტუტების შემფასებელი ინდიკატორები. ამასთანავე, ზოგიერთი ინდიკატორი, რომელიც 2009 წლის ანგარიშში მხოლოდ სამართლებრივ ასპექტებს აფასებდა, 2012 წლის ანგარიშში ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ უთანასწორობასაც აფასებს. შესაბამისად, 2012 წლის ანგარიში გაცილებით უფრო სრულყოფილად ასახავს სოციალური ინსტიტუტების გავლენას საქართველოში, ვიდრე 2009 წლის ანგარიში.

მეთოდოლოგია

სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი (SIGI) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გენდერის, ინსტიტუციების და განვითარების მონაცემთა ბაზას ეფუძნება. მსოფლიოში აპრობირებული გენდერული თანასწორობის ინდიკატორები გენდერული უთანასწორობით გამოწვეულ შედეგებს ასახავს, ხოლო სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი უთანასწორობის გამომწვევ ძირითად მიზეზებს აფასებს - კულტურული, სოციოეტალური პრაქტიკების და ლეგალური ნორმების ამსახველ იმ ინსტიტუტებს ზომავს, რომლებიც ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორობას წარმოქმნის და ქალის შესახებ გავრცელებული სტერეოტიპების კვლავწარმოებას უწყობს ხელს[30]. ინდექსი ეყრდნობა დეტალურ თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს, რომელთა კოდირება სკალაზე 0 - 1 ქულების ფარგლებში ხდება. იმ შემთხვევაში, სადაც ინსტიტუტების გავლენა საერთოდ არ აღინიშნება ან მხოლოდ ქალების უმცირესობაზე ვრცელდება, მაშინ ინდექსის ქულა არის 0, ხოლო როდესაც სოციალური ინსტიტუტების გავლენა ქალების უმრავლესობაზე ან სრულიად ქალებზე ვრცელდება, მაშინ ქულა არის 1.

ინდექსის ფარგლებში ფასდება ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები, ანუ ერთი და იგივე ინდიკატორი ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლებელია იყოს ლეგალური

[28] OECD (2009). Social Institutions and Gender Index. http://www.oecd.org/dataoecd/49/39/42296064.pdf(ნანახია 11.04.12. 14:15)

[29] OECD (2012). Social Institutions and Gender Index 2012: Understanding the Drivers of Gender Inequality.
http://genderindex.org/sites/default/files/2012SIGIsummaryresults.pdf (ნანახია 18.06.12. 16:00)

[30] OECD (2009). Social Institutions and Gender Index.http://www.oecd.org/dataoecd/49/39/42296064.pdf (ნანახია 11.04.12. 14:15)

დიაგრამა 12. სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი - საქართველოს რეიტინგი



შენიშვნები და განმარტებები:

• სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის კრიტერიუმების რეიტინგი 2009 და 2012 წლის ანგრიშებში გამოითვალა უფრო მეტი ქვეყნის ქულების შედარებით, ვიდრე რეიტინგი საბოლოო ქულის მიხედვით. ამიტომ საქართველოს რეიტინგი ზოგიერთი კრიტერიუმის მიხედვით აღემატება 2009 და 2012 წლების საბოლოო ანგარიშში ჩართული ქვეყნების რაოდენობას;

• დიაგრამაზე სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის კრიტერიუმები მოცემულია 2012 წლის ანგარიშის ფორმულირების მიხედვით. 2009 წლის ანგარიშში ასახული კრიტერიუმები: ოჯახის კოდექსი, ქალების სამოქალაქო უფლებები, ქალების ფიზიკური ხელშეხებლობა, ვაჟის დაბადებისთვის უპირატესობის მინიჭება, ქალების საკუთრების უფლება.

ინსტიტუტი, სხვა ქვეყანაში კი - ტრადიცია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის საქართველოს შეფასება ძირითადად ეყრდნობა საკანონმდებლო გარემოს და ოფიციალურ რაოდენობრივ მონაცემებს (მაგალითად, ძალადობა ქალის მიმართ ან ადრეულ ასაკში ქორწინებების პროცენტული რაოდენობა), ხოლო 2012 წლის ანგარიში ასევე აფასებს არაფორმალურ ინსტიტუტებს.

სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის (SIGI) საბოლოო ქულა თანაბარი წილით შეწონილ კრიტერიუმებს ასახავს. ინდექსი ინსტიტუტების გავლენას გენდერულ თანასწორობაზე აფასებს შემდეგი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მიხედვით:

2009 წლის ანგარიში:

- ოჯახის კოდექსი: ქორწინება ადრეულ ასაკში, პოლიგამიის (მრავალცოლიანობის) დაშვება;
- ქალების სამოქალაქო უფლებები: გადაადგილების თავისუფლება, „დრესკოდი“ საჯარო ადგილებში;
- ქალების ფიზიკური ხელშეუხებლობა: ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ქალებზე ძალადობა (ოფიციალური მონაცემები);
- ვაჟის დაბადებისთვის უპირატესობის მინიჭება;
- ქალების საკუთრების უფლება: მშობლის მეურვეობის უფლება, მემკვიდრეობის თანაბარი უფლებები, ქალების ხელმისაწვდომობა მიწაზე, ქალების ხელმისაწვდომობა სხვა საკუთრებაზე (გარდა მიწისა), ხელმისაწვდომობა სესხზე[31] (დიაგრამა 14).

[31] OECD (2009) Social Institutions and Gender Index.http://www.oecd.org/dataoecd/49/39/42296064.pdf (ნანახია 11.04.12. 14:15)

დიაგრამა 13. სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი - საქართველოს ქულა



შენიშვნები და განმარტებები:

• ინდექსის შეფასების სკალა: ქულა 0 = ინსტიტუტების გავლენა არ აღინიშნება; ქულა 1 = გავლენა ვრცელდება ქალების უმრავლესობაზე;

• დიაგრამაზე სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის კრიტერიუმები მოცემულია 2012 წლის ანგარიშის ფორმულირების მიხედვით. 2009 წლის ანგარიშში ასახული კრიტერიუმები: ოჯახის კოდექსი, ქალების სამოქალაქო უფლებები, ქალების ფიზიკური ხელშეუხებლობა, ვაჟის დაბადებისთვის უპირატესობის მინიჭება, ქალების საკუთრების უფლება.

2012 წლის ანგარიში:

- დისკრიმინაციული ოჯახური კოდექსი: ქორწინების კანონმდებლობით განსაზღვრული ასაკი, მშობლების ავტორიტეტი/ ძალაუფლება, მემკვიდრეობა, ადრეული ქორწინება;
- შეზღუდული სამოქალაქო უფლებები: საჯარო სივრცეზე ხელმისაწვდომობა და პოლიტიკაში ჩართულობა (პოლიტიკაში ჩართულობა და კვოტები);
- ფიზიკური ხელშეუხებლობა: ძალადობა ქალების წინააღმდეგ (კანონმდებლობა, დამოკიდებულება ძალადობის მიმართ და ოჯახში ძალადობის მომხდარი შემთხვევები), ქალების სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რეპროდუქციული ჯანმრთელობა;
- ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭება: რომელიმე სქესისთვის უპირატესობის მინიჭება ბავშვის დაბადებისას, „გამქრალი“ გოგონები;
- შეზღუდული რესურსები და მემკვიდრეობა: მიწაზე ხელმისაწვდომობა, ხელმისაწვდომობა სხვა საკუთრებაზე (გარდა მიწისა), და კრედიტზე ხელმისაწვდომობა, მემკვიდრეობა[32] (დიაგრამა 15);

32 OECD (2012) Social Institutions and Gender Index 2012: Understanding the Drivers of Gender Inequality.
http://genderindex.org/sites/default/files/2012SIGIsummaryresults.pdf (ნანახია 18.06.12. 16:00)

დიაგრამა 14. სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის საქართველოს მონაცემები ინდექსის შემადგენელი ინდიკატორების მიხედვით (2009)



ინდექსის შეფასების სკალა: ქულა 0=ინსტიტუტების გავლენა არ აღინიშნება; ქულა 1=გავლენა ვრცელდება ქალების უმრავლესობაზე.

საქართველოს მაჩვენებლები - 2009 წლის ანგარიში

სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის (SIGI) 2009 წლის მონაცემების თანახმად, ფორმალური და არაფორმალური მონაცემების გავლენა საქართველოში მხოლოდ ორი კრიტერიუმის - ქალთა ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ოჯახის კოდექსის - მიხედვით შეინიშნება. ამ ორი კრიტერიუმიდან გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია სოციალური ინსტიტუტების გავლენა ქალთა ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე - ამ კრიტერიუმის ქულა 0.386-ს შეადგენს, ხოლო რეიტინგი 60-ს; ამავდროულად, ოჯახური კოდექსის ქულა 0.065-ს შეადგენს და რეიტინგი 102 ქვეყანას შორის - 17-ს (დიაგრამა 12, 13). აღნიშნული კრიტერიუმები რამდენიმე ინდიკატორს მოიცავს; დიაგრამა 14 აჩვენებს, რომ საქართველოს ქულა ყველა ინდიკატორის უმრავლესობის მიხედვით ნულს უტოლდება, გენდერულ თანასწორობაზე ინსტიტუტების გავლენა არ აღინიშნება ადრეულ ასაკში ქორწინების (ოჯახის კოდექსის კრიტერიუმის შემადგენელი ინდიკატორი) და ქალებზე ძალადობის (ქალთა ფიზიკური ხელშეუხებლობის კრიტერიუმის ინდიკატორი) გარდა. ადრეულ ასაკში ქორწინების ქულა 0.16-ს უტოლდება - არ ვრცელდება ქალების უმრავლესობაზე. ქალებზე ფიზიკური ძალადობის ქულა 0.75-ია და ამ მხრივ არსებულ მნიშვნელოვან პრობლემაზე მიუთითებს (დიაგრამა 14).

სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის (SIGI) 2009 წლის მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში არაფორმალური ინსტიტუტების გავლენა გენდერულ თანასწორობაზე შეინიშნება; ამავდროულად, ფორმალური ინსტიტუტების მხრივ ქვეყანას საუკეთესო მაჩვენებლები აქვს. ორივე კრიტერიუმი - ქალთა ფიზიკური ხელშეუხებლობა და ოჯახის კოდექსი - საქართველოში არაფორმალურ ინსტიტუტებს აღწერს.

საქართველოს მაჩვენებლები - 2012 წლის ანგარიში

საქართველოს შეფასება სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის (SIGI) 2012 წლის ანგარიშის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება 2009 წლის ანგარიშის შედეგებისგან. საქართველოს

დიაგრამა 15. სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის საქართველოს მონაცემები ინდექსის შემადგენელი ინდიკატორების მიხედვით (2012)



ინდექსის შეფასების სკალა: ქულა 0=ინსტიტუტების გავლენა არ აღინიშნება; ქულა 1=გავლენა ვრცელდება ქალების უმრავლესობაზე.

რეიტინგი 102 ქვეყანას შორის 33-ე ადგილიდან გაუარესდა: 86 ქვეყანას შორის მან მე-60 ადგილი დაიკავა. საქართველოს ქულა კი 0.0306-დან 0.3382-მდე გაიზარდა. მაჩვენებლების ასეთი გაუარესება დაკავშირებულია მეთოდოლოგიის ცვლილებასთან - ინდექსის შემადგენელი ინდიკატორებიდან ამოღებული იქნა საქართველოსთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი რამდენიმე მაჩვენებელი, მაგალითად, პოლიგამია, და დაემატა ინდიკატორები, რომელთა მიხედვით საქართველოში მნიშვნელოვანი გენდერული უთანასწორობაა, მაგალითად - პოლიტიკაში ჩართულობა. ასევე, 2009 წლის ანგარიშში წარმოდგენილი მაჩვენებლები, რომლებიც მხოლოდ ფორმალურ ინსტიტუტებს აფასებდა, 2012 წლის ანგარიშში აფასებს არაფორმალურ ინსტიტუტებსაც; შესაბამისად, 2012 წლის ანგარიში 2009 წლის ანგარიშზე უფრო ინფორმაციულია საქართველოში არსებული ვითარების შესახებ. გენდერულ თანასწორობაზე სოციალური ინსტიტუტების გავლენა 2012 წლის ინდექსის ყველა შემადგენელი კრიტერიუმის მიხედვით შეიმჩნევა. ყველაზე არასასურველი ვითარებაა სამოქალაქო უფლებებისა და ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭების კრიტერიუმების მიხედვით.

2012 წლის ინდექსის კრიტერიუმების შემადგენელი ინდიკატორები შემდეგი სახით შეიცვალა: დისკრიმინაციულ ოჯახურ კოდექსს დაემატა მშობლების ავტორიტეტი/ ძალაუფლება და მემკვიდრეობა და ამოღებული იქნა პოლიგამია, რაც საქართველოსთვის ნაკლებად რელევანტურ პრობლემას წარმოადგენს. შეზღუდულ სამოქალაქო უფლებებს, რომელიც საჯარო სივრცის სახით იყო წარმოდგენილი 2009 წლის ანგარიშში, დაემატა პოლიტიკაში ჩართულობა და პოლიტიკური კვოტები და გაუქმდა „დრესკოდი“ საჯარო ადგილებში - ეს მაჩვენებელიც, პოლიგამიის მსგავსად,

არ არის საქართველოსთვის მნიშვნელოვანი. ფიზიკური ხელშეუხებლობის კრიტერიუმის შემადგენელ ინდიკატორებს დაემატა დამოკიდებულება ძალადობის მიმართ და რეპროდუქციული ჯანმრთელობა. ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭების კრიტერიუმს, „გამქრალი გოგონების" ინდიკატორის გარდა, დაემატა რომელიმე სქესისთვის უპირატესობის მინიჭება ბავშვის დაბადებისას. შეზღუდული რესურსების და მემკვიდრეობის კრიტერიუმიდან ამოღებული იქნა მშობლის მეურვეობის უფლება, რომელიც სამართლებრივ გარემოს აფასებს. 2009 წლის ანგარიშში აღნიშნულ ინდიკატორს 0 (ანუ საუკეთესო) ქულა მიენიჭა.

სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის (SIGI) საბოლოო ქულა - 0.3382 - კრიტერიუმების თანაბრად შეწონილი ქულების საშუალებით იქნა მიღებული (შეფასების სკალაა 0 - ინსტიტუტების გავლენა არ აღინიშნება; 1 - ვრცელდება ქალების უმრავლესობაზე). **შეზღუდული რესურსებისა და შესაძლებლობების კრიტერიუმის** მიხედვით საქართველოს ქულაა 0.1598. ამ კრიტერიუმის შემადგენელი ინდიკატორებიდან არანულოვანი ქულა - 0.5 (დიაგრამა 15) მიენიჭა ხელმისაწვდომობას საკუთრებაზე (გარდა მიწისა). **ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭება** 2012 წლის ანგარიშის ყველაზე მაღალი ქულითაა წარმოდგენილი (0.96). ეს მიუთითებს, რომ ამ პარამეტრის მიხედვით ინსტიტუტების გავლენა ქალების უმრავლესობაზე ვრცელდება (დიაგრამა 13). ამ კრიტერიუმის ორივე შემადგენელი ინდიკატორი ნულზე მაღალი ქულითაა წარმოდგენილი, ანუ არსებულ პრობლემებზე მიუთითებს. **ფიზიკური ხელშეუხებლობა** (0.135) ერთადერთი კრიტერიუმია, რომელიც ჩამორჩება 2009 წლის ანგარიშის ქულას. ოჯახში ძალადობის შემთხვევები, რომელიც 2009 წელს მაღალი მაჩვენებლით განისაზღვრა, 2012 წლის ანგარიშში არ არის გასაგებად მითითებული (დიაგრამა 15), თუმცა დამატებული ინდიკატორის ქულა - დამოკიდებულება ოჯახში ძალადობასთან (0.069) და რეპროდუქციული ჯანმრთელობა (0.163) - დაბალია და აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით პრობლემებზე არ მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ 0.4166 ქულით შეფასდა კანონმდებლობა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ 2009 და 2012 წლების ანგარიშების მიხედვით ოჯახში ძალადობა საქართველოში ქალებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოში არსებული ვითარება შესწავლილია გაეროს მოსახლეობის ფონდისა და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის კვლევის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც ქალთა 78% თვლის, რომ ოჯახში ძალადობა არ უნდა განიხილებოდეს ოჯახს გარეთ, ხოლო 34% მიიჩნევს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მამაკაცმა შეიძლება ცოლი სცემოს და ასეთი საქციელი კანონის დარღვევა არ არის. ამავე კვლევის მიხედვით საქართველოში ყოველი მეთერთმეტე ქალი, რომელიც გათხოვილი არის ან ყოფილა, ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია[33], შესაბამისად, ოჯახში ძალადობის პრობლემა არის საკითხი, რომელიც საჭიროებს როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ასევე შესაბამისი სააგენტოების და სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან რეაგირებას.

შეზღუდული სამოქალაქო უფლებები (0.7556 ქულა) 2012 წლის ანგარიშის ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი მაჩვენებელია (დიაგრამა 13). განსაკუთრებით ცუდად, ქულა 1-ით, არის შეფასებული პოლიტიკური კვოტები (დიაგრამა 15). ასევე, მაღალია საჯარო სივრცეზე ხელმისაწვდომობის ქულა - 0.5. როგორც ანგარიშშია მითითებული, საქართველოში ქალები, ხშირ შემთხვევაში, საჭიროებენ მშობლის ან პარტნიორის ნებართვას ქვეყნის შიგნით ან გარეთ გადაადგილებისთვის - მაღალი ქულა აღნიშნული ფაქტითაა განპირობებული[34]. ამ ანგარიშში პოლიტიკაში მონაწილეობა 0-თან მიახლოებული ქულითაა წარმოდგენილი, ანუ სოციალური ინსტიტუტების გავლენა ქალთა პოლიტიკაში ჩართულობაზე არ მიიჩნევა მნიშვნელოვნად, თუმცა კვოტების არარსებობა შეფასებულია ქულა 1-ით და აღნიშნული ანგარიშის მიხედვით გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკური კვოტების არარსებობის ცალსახად უარყოფით გავლენას ასახავს. **დისკრიმინაციული ოჯახური კოდექსის** ჯამური ქულაა 0.3466 (დიაგრამა 13). მემკვიდრეობა და მშობლების ავტორიტეტი /ძალაუფლება შეფასებულია 0.5 ქულით (დიაგრამა 15), ადრეულ ასაკში ქორწინება 0.137 ქულით. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოჯახის არაფორმალური

33 Chitashvili Marine, et al.National Research on Domestic Violence against Women in Georgia. UNFPA Georgia 2010.p.

34 OECD. The Social Institutions and Gender Index, official website. http://genderindex.org/country/georgia (ნანახია 18.06.12. 16:00)

ნორმები მნიშვნელოვნად ზღუდავს ქალებს საქართველოში და სხვადასხვა სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორთან ერთად გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.

საბოლოოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ 2009 და 2012 წლების სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის (SIGI) ანგარიშების შედარება გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება საქართველოში გენდრული თანასწორობის შეფასება გამოყენებული კრიტერიუმების მიხედვით - 2009 წლის ანგარიშში შეფასება ხდება ფორმალური, მეტწილად კანონმდებლობაზე დაფუძნებული მაჩვენებლების თანახმად, ხოლო 2012 წლის ანგარიშში დამატებით გათვალისწინებულია არსებული უთანასწორობა; შესაბამისად, 2009 წლის ანგარიში მიუთითებს საქართველოში გენდერული უთანასწორობის მხრივ არსებულ მხოლოდ ორ პრობლემაზე, ხოლო 2012 წლის ანგარიში - პრობლემათა მთელ წყებაზე (დიაგრამა 14, დიაგრამა 15). ასევე, 2009 და 2012 წლების ანგარიშები წარმოადგენენ მაგალითს, თუ რამდენადაა დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყნის შეფასება საერთაშორისო ინდექსებისა და რეიტინგების გამოსათვლელად გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე; ცვლილებები, რომლებიც საქართველოს შეფასებაში შეინიშნება, გამოწვეულია არა ქვეყნის შიგნით გენდერულ თანასწორობასთან მიმართებით მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით სამი წლის განმავლობაში, არამედ მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ცვლილებით.

V ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი

ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსს (WEOI) ეკონომიკური კვლევის სააგენტო აქვეყნებს. ხელმისაწვდომია 2010[35] და 2012[36] წლების ანგარიშები. ქალების ეკონომიკური მდგომარეობა განიმარტება როგორც კანონების, რეგულაციების, პრაქტიკების, ჩვევების და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც ქალებს ისევე აძლევს მონაწილეობის საშუალებას, უფლებას, ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში, სამუშაო ძალაში, როგორც მამაკაცებს. ინდექსის მიზანია, გამოიკვლიოს ის ფაქტორები, რომლებიც ქალების სამსახურის ხელმისაწვდომობაზე და ბიზნესშესაძლებლობებზე ახდენს ზემოქმედებას. 2010 და 2012 წლების ანგარიშების მონაცემების მიხედვით საქართველოს შედეგები, ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის მიხედვით, გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს. საქართველოს მიერ დაკავებული პოზიცია, ასევე ინდექსის შემადგენელი კრიტერიუმების შედარება მიუთითებს იმაზე, რომ ქალთა უფლებებისა და ფორმალური ინსტიტუტების შეფასების თვალსაზრისით საქართველოში უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ქალთა მდგომარეობის ამსახველი პრაქტიკის აღწერის მიხედვით.

35 Economic Intelligence Unit (2010). Women's Economic Opportunity 2010.
http://graphics.eiu.com/upload/WEO_report_June_2010.pdf (ნანახია 10.04.12; 17:00)

36 Economic Intelligence Unit (2012). Women's Economic Opportunity 2012.
http://www.juntadeandalucia.es/haciendayadministracionpublica/planif_presup/genero/documentacion/Women_Economic_index2012.pdf (ნანახია 10.04.12; 17:00)

მეთოდოლოგია

ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი (WEOI) სცდება ქალებისა და მამაკაცების მაჩვენებლების შედარებას და მოიცავს ისეთ ფაქტორებს, რომლებიც ფორმალურ ეკონომიკაში ქალების ეკონომიკურ შესაძლებლობებზე ახდენს ზემოქმედებას; თუმცა 2010 წლის ანგარიში ეყრდნობა ზემოთ უკვე აღწერილი ანგარიშების მონაცემებს, კერძოდ, გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშს და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური გენდერული სხვაობის ანგარიშს. 2012 წელს ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსს რამდენიმე ინდიკატორი დაემატა, შესაბამისად, გაფართოვდა მონაცემთა ბაზა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ინდექსი იქნა გამოთვლილი - მას დაემატა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ბანკის, მსოფლიო ჯანდაცვისა და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციათა მონაცემები.

ქალების ეკონომიკური განვითარების ინდექსის (WEOI) ხელმისაწვდომ ანგა-

დიაგრამა 16. ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი



დიაგრამა 17. ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი



რიშებში არსებობს მეთოდოლოგიური არათანმიმდევრულობა. 2010 და 2012 წლების ანგარიშებში ინდექსი ერთსა და იმავე კრიტერიუმზე დაყრდნობით იქნა გამოთვლილი, მაგრამ კრიტერიუმის ინდიკატორები განსხვავდება ანგარიშების მიხედვით, ვინაიდან 2012 წელს რამდენიმე ინდიკატორი დაემატა. გარდა ამისა, 2010 წლის ანგარიშში ხელმისაწვდომია მონაცემები კრიტერიუმებისა და ცვლადების მიხედვით, ხოლო 2012 წლის ანგარიშში მხოლოდ აგრეგირებული მონაცემებია ხელმისაწვდომი. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიშში მივუთითებთ მხოლოდ კატეგორიებს, რომელთა მიხედვითაც გამოითვლება ინდექსი: ბიზნესგარემო, საქმეების სამართლებრივი და სოციალური მდგომარეობა, განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება, ხელმისაწვდომობა ფინანსებზე, შრომითი პოლიტიკა და ამ მხრივ არსებული პრაქტიკა. ქულები შემდეგი სკალის მიხედვით გამოითვლება: 0 - სრულიად არასასურველი გარემო, 100 - სრულიად სასურველი გარემო. ინდექსის შემადგენელი ინდიკატორების შეწონვა მონაცემთა ბაზაში ინდიკატორების მნიშვნელობის გამოთვლის შედეგად ხდება.

ასევე, ორივე ანგარიშის მიხედვით ხელმისაწვდომია საქართველოს რეგიონული რეიტინგი, თუმცა რეგიონების განსაზღვრება შეცვლილია - 2010 წლის ანგარიშში საქართველო მიკუთვნებულია აზიის რეგიონისთვის, ხოლო 2011 წლის ანგარიშში - აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონისთვის; შესაბამისად, სხვადასხვა ანგარიშის საქართველოს რეგიონული რეიტინგების შედარება შეუძლებელია.

საქართველოს მაჩვენებლები

ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის (WEOI) 2012 წლის ანგარიშის ქულა და რეიტინგი 2010 წლის მონაცემებთან შედარებით მცირედით, მაგრამ მაინც გაუმჯობესებულია: ქულა გაუმჯობესებულია 49.2-დან 54.5-მდე, ხოლო რეიტინგი 67-ე ადგილიდან 59-ე ადგილამდე (დიაგრამა 14). ორივე წლის ანგარიშების მიხედვით ქულა ქალებისთვის სრულიად სასურველ გარემოსა

და სრულიად არასასურველ გარემოს შორის არის საშუალო. რეიტინგების შედარება შეუძლებელია, რადგან ანგარიშებში სხვადასხვა რაოდენობის ქვეყნები იქნა ჩართული, თუმცა ამ შემთხვევაშიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, რეიტინგები საქართველოში სიტუაციის გაუმჯობესებაზე მიუთითებს. ასევე, საქართველოს უკეთესი პოზიცია უკავია ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების 2012 წლის ინდექსის მიხედვით, ვიდრე გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშის ინდექსების ან მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის გენდერული სხვაობის ინდექსების რეიტინგების მიხედვით, რაც სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის 2009 წლის ანგარიშის მსგავსი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: საქართველოში არსებული ვითარება გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით უკეთეს შეფასებას იმსახურებს, თუ იზომება ქალთა მდგომარეობა უფლებებისა და ფორმალური ინსტიტუტების მიერ გარანტირებული საშუალებების მიხედვით, ნაცვლად ქალთა გაძლიერების ან დაკავებული პოზიციებისა მამაკაცთან მიმართებით პოლიტიკაში ან ეკონომიკაში ჩართულობის მიხედვით.

2010 წლის ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის (WEOI) შემადგენელი კატეგორიებიც მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებლები უკეთესია ფორმალური პოლიტიკის შეფასებისას, ვიდე პრაქტიკული ვითარების გაანალიზებისას (დიაგრამა 15) - ყველაზე მაღალი ქულები ენიჭება ქალების სამართლებრივ და სოციალურ მდგომარეობას (84.7 ქულა) და შრომით პოლიტიკას (64.3), ყველაზე დაბალი კი ქალების გაძლიერების ამსახველ კრიტერიუმებს - ფინანსებზე ხელმისაწვდომობას (15.6 ქულა) და შრომით პრაქტიკას (22.6 ქულა).

VI დასკვნა

მიღებული შედეგების შეჯამებისას აუცილებელია, გავითვალისწინოთ, რომ ინდექსები და რეიტინგები ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ ვითარებას სპეციფიკურ კრიტერიუმებზე, მეთოდოლოგიასა და ცვლადებზე დაყრდნობით აფასებენ, რასაც მონაცემების ინტერპრეტაციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დასკვნები შესაძლებელია გაკეთდეს სწორედ იმ ინდიკატორების საფუძველზე, რომლებსაც მოცემული ინდექსები მოიცავს. ასევე, არსებობს ჩამოთვლილი ანგარიშებიდან გამომდინარე სირთულეები. საქართველოში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით შემდეგი ზოგადი დაკვირვებების ჩამოყალიბებაა შესაძლებელი:

- **ძირითად საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა პოლიტიკური და ეკონომიკური ჩართულობის პირისპირ**

გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშის გენდერული თანასწორობის ინდექსებმა (გენდერის და განვითარების ინდექსი - GDI) აჩვენა, რომ 1993-1995 წლებში საქართველოში არ არსებობდა გენდერული უთანასწორობა ისეთი ძირითადი საჭიროებების მიხედვით, როგორიც არის ჯანმრთელობა (შეფასებული ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობით), განათლებაზე ხელმისაწვდომობა და საშუალო შემოსავალი. მეორეს მხრივ, 90-იან და 2000-2010 წლებში მნიშვნელოვანი უთანასწორობის დემონსტრირებას ახდენს ის ინდექსები, რომლებიც, ძირითად საჭიროებებთან ერთად, ქალის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებასაც ითვალისწინებს (გენდერული გაძლიერების საზომი - GEM და გენდერული უთანასწორობის ინდექსი - GII). იგივე დასკვნა გამომდინარეობს მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის გენდერული სხვაობის ანგარიშიდან (გენდერული სხვაობის ინდექსი - GGI), რომელიც მეთოდოლოგიურად ყველაზე თანმიმდევრული და სრულყოფილია: გენდერული სხვაობა თითქმის არ არსებობს განათლებაზე ხელმისაწვდომობის და ჯანმრთელობის/სიცოცხლის უსაფრთხოების კრიტერიუმების მიხედვით, მაშინ, როდესაც ეკონომიკური ჩართულობისა და შესაძლებლობების მიხედვით ქალისა და მამაკაცის მიერ დაკავებული პოზიციები მნიშვნელოვნად განსხვავდება (ქალი 40%/ მამაკაცი 60%, 2012 წლის ანგარიშის მონაცემების თანახმად), ხოლო პოლიტიკური გააქტიურების კრიტერიუმის მიხედვით ქალების მიერ დაკავებული პოზიციების მაჩვენებელი მუდმივად უარესდებოდა და 2011 წლის ანგარიშის თანახმად ქალები პოლიტიკურ პროცესებში თითქმის არ არიან ჩართულნი; ამ მხრივ ძალზე მცირედი გაუმჯობესება შეინიშნება 2012 წლის ანგარიშის მონაცემებში.

- **ფორმალური ინსტიტუტები და ქალთა სამართლებრივი მდგომარეობა არაფორმალური ინსტიტუტებისა და არსებული პრაქტიკის პირისპირ**

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული **სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის** (SIGI) 2009 წლის ანგარიშის დაეკონომიკური კვლევის სააგენტოს მიერ შემუშავებული **ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის** (WEOI) მონაცემების შედარება **გენდერული სხვაობის ინდექსის** (GGI) ყველა არსებულ ანგარიშთან და იმავე სოციალური ინსტიტუტებისა და **გენდერის ინდექსის** (SIGI) **2012 წლის ანგარიშის** მონაცემებთან მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს უკეთესი მაჩვენებლები აქვს იმ ინდექსების მიხედვით, რომლებიც, არსებულ პრაქტიკასთან ერთად, ქალთა სამართლებრივ მდგომარეობასა და გენდერულ თანასწორობაზე ფორმალური ინსტიტუტების გავლენას აფასებს. გენდერული სხვაობის ინდექსი (GGI) მხოლოდ და მხოლოდ ქალების მიერ დაკავებულ პოზიციებს და არსებულ პრაქტიკას აფასებს, ასევე სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის (SIGI) 2012 წლის ანგარიში აფასებს ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს, რომლებიც იწვევენ გენდერულ უთანასწორობას; შესაბამისად, საქართველოს ქულები და რეიტინგები ამ ანგარიშების მიხედვით, სოციალური ინსტიტუტების და გენდერის ინდექსის (SIGI) 2009 წლის ანგარიშის და

ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის (WEOI) მიხედვით საქართველოს მაჩვენებლებს ჩამორჩება. ანალოგიური დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის (SIGI) 2009 წლის ანგარიშის და ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის შემადგენელი კრიტერიუმების შედარებაც.

გენდერული თანასწორობის შეფასებისას გამოიკვეთა განსაკუთრებით პრობლემური საკითხები, რომლებიც შემდგომ კვლევას და პოლიტიკის შემუშავებას საჭიროებს:

- „გამქრალი გოგონების“ ფენომენი - გენდერული სხვაობის ინდექსის (GGI), სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის (SIGI) და მსოფლიო ბანკის 2012 წლის მსოფლიოს განვითარების ანგარიშის მიხედვით საქართველოში შესაძლოა არსებობდეს სქესის მიხედვით შერჩევითი აბორტების პრაქტიკა; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში 2006-2011 წლებში მართლაც შეიმჩნევა სქესთა არაბუნებრივი თანაფარდობა, თუმცა მონაცემები მეტად არათანამიმდევრულ ტენდენციას ასახავს და საჭიროა როგორც მათი სანდოობის შესწავლა, ასევე ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭების კვლევა ფასეულობებისა და სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფისთვის მიკუთვნების თვალსაზრისით;
- ძალადობა ქალების მიმართ და ოჯახში ძალადობა - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ქალთა უფლებების დაცვისა და ადვოკატირებისთვის. მისი მნიშვნელობა ასახულია სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსის (SIGI) 2012 წლის ანგარიშში. იგივე ანგარიში მიუთითებს ქალების არასასურველ მდგომარეობაზე ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭების, შეზღუდული სამოქალაქო უფლებების, დისკრიმინაციული ოჯახური კოდექსის და შეზღუდული რესურსების და მემკვიდრეობის კრიტერიუმების მიხედვით. ჩამოთვლილი ფაქტორების შესწავლა ქალების მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობასთან მიმართებით სასარგებლო იქნება ძალადობის სისტემური მიზეზების დასადგენად და შესაბამისი პოლიტიკის შესამუშავებლად;
- ქალების დაბალი პოლიტიკური აქტიურობის გამომწვევი მიზეზები და პრობლემის შესაძლო გადაწყვეტის გზები - გენდერული სხვაობის ინდექსი (GGI) ყველაზე ცხადად მიუთითებს საქართველოში საკანონმდებლო და აღმასრულებელ დონეებზე ქალების პოლიტიკური ჩართულობის უკიდურესი შემცირების ტენდენციაზე;
- არსებობს თუ არა კავშირი საქართველოში ქალის ეკონომიკურ გაძლიერებასა და პოლიტიკურ გაძლიერებას შორის:
  - ხდება თუ არა ქალების ეკონომიკური გაძლიერება, რადგან განხილული ინდექსების შემადგენელი მაჩვენებლების მიხედვით არაერთგვაროვანი შედეგები იქნა მიღებული;
  - როგორ აისახება ქალების პოლიტიკურ აქტიურობაზე ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლის გაუმჯობესება (გენდერული სხვაობის ინდექსის ზოგიერთი ინდიკატორი, ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის მონაცემები). გენდერული სხვაობის ინდექსის მონაცემების თანახმად, ქალების პოლიტიკური გააქტიურების 2006 წლის ანგარიშის ძალიან დაბალი მაჩვენებლები შემდგომი ანგარიშების მიხედვით მკვეთრად გაუარესდა, მაშინ, როცა მსოფლიოში ამ მხრივ არსებული ვითარება გაუმჯობესდა.

ავტორის შესახებ

ნანი ბენდელიანი სოციალურ მეცნიერებათა ცენტრთან 2007 წლიდან თანამშრომლობს. ის არის სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ადმინისტრირებული სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებული - 2005 წელს დაასრულა სამაგისტრო კურსი საერთაშორისო ურთიერთობებში. 2011 წელს მიიღო ერასმუსის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მაგისტრის ხარისხი განვითარების კვლევებში, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის სპეციალობით.

ბიბლიოგრაფია:

Bhaskar, V. and Gupta, Bishnupriya (2007) India's development in the era of growth. OXFORD REVIEW OF ECONOMIC POLICY, 23 (2). pp. 135-142

Office of the Special Advisor on Gender Issues and Advancement of Women. Gender Mainstreaming: Strategy for Promoting Gender Equality. UN 2001http://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/factsheet1.pdf (ნანახია 18.05.12/17:15)

Economic Intelligence Unit. Women's Economic Opportunity Index. New study spotlights opportunities and barriers for working women worldwidehttp://www.eiu.com/site_info.asp?info_name=womens_economic_opportunity&page=noads(ნანახია 22.06.12. 12:30)

Economic Intelligence Unit (2010). Women's economic opportunity 2010.
http://graphics.eiu.com/upload/WEO_report_June_2010.pdf (ნანახია 10.04.12; 17:00)

Economic Intelligence Unit (2012). Women's economic opportunity 2012.
http://www.juntadeandalucia.es/haciendayadministracionpublica/planif_presup/genero/documentacion/Women_Economic_index2012.pdf (ნანახია 10.04.12; 17:00)

OECD (2012). Social Institutions and Gender Index 2012:Understanding the drivers of gender inequality.
http://genderindex.org/sites/default/files/2012SIGIsummaryresults.pdf (ნანახია 18.06.12. 16:00)

OECD. The Social Institutions and Gender Index, official website.
http://genderindex.org/country/georgia (ნანახია 18.06.12. 16:00)

OECD(2009).SocialInstitutionsandGenderIndex.http://www.oecd.org/dataoecd/49/39/42296064.pdf(ნანახია 11.04.12. 14:15)

OECD Social Institutions and Gender Index. OECD Official Website.http://www.oecd.org/document/39/0,3746,en_2649_33935_42274663_1_1_1_1,00.html (ნანახია 11.04.12; 14:15)

World Economic Forum. Gender Gap Index, official website.
http://www.weforum.org/issues/global-gender-gap(ნანახია 03.05.12. 12:00)
Hausmann, Ricardo, et al(2006). The Global Gender Gap Report 2006. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2006.pdf (ნანახია 19.05.12/16:00)

Hausmann, Ricardo, et al(2007). The Global Gender Gap Report 2007. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2007.pdf (ნანახია 19.05.12/16:00)

Hausmann, Ricardo, et al (2008). The Global Gender Gap Report 2008. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2008.pdf (ნანახია 19.05.12/16:00)

Hausmann, Ricardo, et al (2009). The Global Gender Gap Report 2009. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2009.pdf (ნანახია 19.05.12/16:00)

Hausmann, Ricardo, et al (2010). The Global Gender Gap Report 2010. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2010.pdf (ნანახია 19.05.12/16:00)

Hausmann, Ricardo, et al (2011). The Global Gender Gap Report 2011. World Economic Forum.
http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2011.pdf (ნანახია 19.05.12/16:00)

Hausmann, Ricardo, et al (2012). The Global Gender Gap Report 2011. World Economic Forum. http://www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2012.pdf (ნანახია 01.11.12 /19:00)

United Nations Development Programme (1995).Human Development Report 1995. Oxford University Press
http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr1995/chapters/ (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (1996). Human Development Report 1996. Oxford University Press
http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr1996/chapters/ (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (1997). Human Development Report 1997. Oxford University Press
http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr1997/chapters/ (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (1998). Human Development Report 1998. Oxford University Press
http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr1998/chapters/ (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (1999). Human Development Report 1999. Oxford University Press
http://hdr.undp.org/en/media/HDR_1999_EN.pdf (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2000). Human Development Report 2000. Oxford University Press
http://hdr.undp.org/en/media/HDR_2000_EN.pdf (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2001). Human Development Report 2001. Oxford University Press
http://hdr.undp.org/en/media/completenew1.pdf (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2002). Human Development Report 2002. Oxford University Press
http://hdr.undp.org/en/media/HDR_2002_EN_Complete.pdf (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2003). Human Development Report 2003. Oxford University Press
http://hdr.undp.org/en/media/hdr03_complete.pdf (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2004). Human Development Report 2004. Hoechstetter Printing Co
http://hdr.undp.org/en/media/hdr04_complete.pdf (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2005). Human Development Report 2005. Hoechstetter Printing Co
http://hdr.undp.org/en/media/HDR05_complete.pdf (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2006). Human Development Report 2006. Palgrave Macmillan. http://hdr.undp.org/en/media/HDR06-complete.pdf (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2007). Human Development Report 2007/2008. Palgrave Macmillan
http://hdr.undp.org/en/media/HDR_20072008_EN_Complete.pdf (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2009). Human Development Report 2009. Palgrave

Macmillan
http://hdr.undp.org/en/media/HDR_2009_EN_Complete.pdf (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2010). Human Development Report 2010. Palgrave Macmillan
http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2010/chapters/ (ნანახია 28.02.12/12:00)

United Nations Development Programme (2011). Human Development Report 2011. Palgrave Macmillan, 2011
http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2011/download/ (ნანახია 28.02.12/12:00)

World Bank (2012) World Development Report. Gender Equality and Development. http://siteresources.worldbank.org/INTWDR2012/Resources/7778105-1299699968583/7786210-1315936222006/Complete-Report.pdf (ნანახია 25.09.2012; 17:00).

World Bank. World Development Indicators Database
http://data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators(ნანახია April 2, 2012. 17:30)
თიკო ცომაია (2009). გამქრალი გოგოები. ჟურნალ „ლიბერალის“ ოფიციალური ვებგვერდი. 17 დეკემბერი, 2009 წ. http://liberali.ge/node/996 (ნანახია1.06.12; 15:15)
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ოფიციალური ვებგვერდი. http://geostat.ge/?action=page&p_id=475&lang=geo (ნანახია 1.06.12. 15:15)

დანართი 1.1 გენდერული სხვაობის ინდექსი, ეკონომიკური ჩართულობა და შესაძლებლობები, შრომითი ჩართულობა

დანართი 1.2. გენდერული სხვაობის ინდექსი, ეკონომიკური ჩართულობა და შესაძლებლობები, სახელფასო თანასწორობა მსგავსი სამუშაოს შესრულებისას

დანართი 1.3. გენდერული სხვაობის ინდექსი, ეკონომიკური ჩართულობა და შესაძლებლობები, საშუალო შემოსავალი

დანართი 1.4. გენდერული სხვაობის ინდექსი, ეკონომიკური ჩართულობა და შესაძლებლობები, კანონმდებლები, ხელმძღვანელი პირები და მენეჯერები

დანართი 1.5. გენდერული სხვაობის ინდექსი, ეკონომიკური ჩართულობა და შესაძლებლობები, პროფესიული და ტექნიკური მუშაკები



დანართი 1.6. გენდერული სხვაობის ინდექსი, ხელმისაწვდომობა განათლებაზე, წერა-კითხვის ცოდნა

დანართი 1.7. გენდერული სხვაობის ინდექსი, ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ჩარიცხვა განათლების პირველ საფეხურზე



დანართი 1.8. გენდერული სხვაობის ინდექსი, ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ჩარიცხვა განათლების მეორე საფეხურზე

დანართი 1.9. გენდერული სხვაობის ინდექსი, ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ჩარიცხვა განათლების მესამე საფეხურზე



დანართი 1.10. გენდერული სხვაობის ინდექსი, ჯანმრთელობა და სიცოცხლის უსაფრთხოება, სქესთა თანაფარდობა დაბადებისას

დანართი 1.11. გენდერული სხვაობის ინდექსი, ჯანმრთელობა და სიცოცხლის უსაფრთხოება, ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა

დანართი 1.12. გენდერული სხვაობის ინდექსი, პოლიტიკური გაძლიერება, ქალები პარლამენტში



დანართი 1.13. გენდერული სხვაობის ინდექსი, პოლიტიკური გაძლიერება, ქალები მინისტრის თანამდებობაზე



დანართი 1.14. გენდერული სხვაობის ინდექსი, პოლიტიკური გაძლიერება, ქალის, როგორც ქვეყნის პირველი პირის, მმართველობის წლები (უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში)